

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

საქმე ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(საჩივრები No. 66069/09, 130/10 და 3896/10)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

9 ივლისი 2013

მოცემული გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქტირებას

მოცემულ საქმეში ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დიდი პალატის შემდეგი შემადგენლობით:

დინ სპიელმანი, *პრეზიდენტი*
ჯოზეფ კასადევალი,
გიდო რაიმონდი,
ინეტა ზიემელე,
მარკ ვილიგერი,
იზაბელ ბერო-ლეფერი,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,
ლუის ლოპეს გერა,
მირიანა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,
ნონა წოწორია,
ანა ფაუერ-ფორდი,
იშილ კარაკაში,
ნებოიშა ვუჩინიჩი,
ლინოს-ალექსანდრე სიცილიანოსი,
პოლ ლემენსი,
პოლ მაჰოუნი,
იუან სილვისი, *მოსამართლეები*

და მაიქლ ო'ბოილი, *განმწესრიგებლის მოადგილე*

ითათბირეს რა დახურულ კარს მიღმა 2012 წლის 28 ნოემბერსა და 2013 წლის 29 მაისს,

გამოიტანეს შემდეგი გადაწყვეტილება ზემოთმითითებულ დღეს:

პროცედურა

1. საქმ
ეს საფუძვლად დაედო საჩივრები (No. 66069/09, 130/10 და 3896/10) დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად, 2009 წლის 11 დეკემბერს, 2009 წლის 19 დეკემბერსა და 2010 წლის 6 იანვარს სასამართლოში შეიტანეს ბრიტანეთის სამმა მოქალაქემ: ბ-ნმა დუგლას გარი ვინტერმა ("პირველი მომჩივანი"), ბ-ნმა ჯერემი

ნევილ ბამბერმა ("მეორე მომჩივანი") და ბ-ნმა პიტერ ჰოვარდ მურმდა ("მესამე მომჩივანი").

2. პირველი მომჩივანი დაიბადა 1969 წელს და ამჟამად იმყოფება მისი უდიდებულესობის ციხეში ფრანკლანდში. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენს ადვოკატი ბ-ნი ს. კრეიტონი, ადვოკატი, რომელიც პრაქტიკას ეწევა ლონდონში ფირმა "*Bhatt Murphy Solicitors*", რომელსაც ასისტირებას უწევს ბ-ნი პ. ვეთერბი QC, მრჩეველი და პროფესორი დ. ვან სილ სმიტი.

3. მეორე მომჩივანი დაიბადა 1961 წელს და სასჯელს იხდის მისი უდიდებულესობის ციხეში ფულ სატონი. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენს ბ-ნი ბ. ვუდსი, ადვოკატი, რომელიც პრაქტიკას ეწევა ლიდსში ფირმა "*Cousins Tyrer Solicitors*". მას ასისტირებას უწევს ბ-ნი რ. ჰორველი QC და ბ-ნი ლ. ჰინდმარში, მრჩეველი.

4. მესამე მომჩივანი დაიბადა 1946 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის მისი უდიდებულესობის ციხეში ვეიქფილდი. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენს იურიდიული ფირმა "*Chivers Solicitors, Bingley*", რომელსაც ასისტირებას უწევს ბ-ნი მ. მაკკოლნი, მრჩეველი.

5. გაერთიანებული სამეფოს მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენს ქ-ნი ლ. დობანი საგარეო და თანამეგობრობის ოფისიდან.

6. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათზე დაკისრებული უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს.

7. საჩივრები დაეწერა სასამართლოს მეოთხე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის მუხლი 52 § 1). 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ამავე სექციის პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მოსამართლეები გარლიკი, დავიდ თორ ბიორგვინსონი, ბრატცა, ჰირველა, ნიკოლაუ, ბიანკუ, დე გაეტანო და სექციის გამწესრიგებელი ტ.ლ. ერლი, ერთხმად გადაწყვიტა გაეერთიანებინა საჩივრები, მე-3 მუხლით დასაშვებად, ხოლო დანარჩენი კი მიუღებლად ეცნო. პალატამ ასევე დაადგინა, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ არცერთ მომჩივნთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას. გადაწყვეტილებას თან დაერთო მოსამართლე დე გაეტანოს თანმხვედრი და მოსამართლეების გარლიკი, დავიდ თორ ბიორგვინსონისა და ნიკოლაუს განსხვავებული მოსაზრებები.

8. 2012 წლის 9 ივლისს, 2012 წლის 12 აპრილის მოთხოვნის პასუხად და კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად, დიდი პალატის კოლეგიამ გადაწყვიტა საქმე გადაეცა დიდი პალატისათვის.

9. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 26 § 4 და 5 მუხლისა და სასამართლო რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად. საბოლოო განხილვისას იშილ კარაკაშმა, ჩამნაცვლებელმა მოსამართლემ შეცვალა ანდრაშ შაიო, რადგან ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო საქმის განხილვაში შემდგომი მონაწილეობა (სასამართლო რეგლამენტის მუხლი 24 § 3).

10. მომჩივნებმა და მთავრობამ, ორივემ წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებანი საქმის არსებით მხარეზე (სასამართლო რეგლამენტის მუხლი 59 § 1).

11. მოსმენა შედგა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 28 ნოემბერს (სასამართლო რეგლამენტის მუხლი 59 § 3).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის სახელით

ქ-ნი ლ. დობანი,

ბ-ნი დ. პერი QC

ბ-ნი ლ. მაზლი,

ბ-ნი ჯ. გესი,

ქ-ნი ა. ფოულდსი,

წარმომადგენელი

ადვოკატი

მრჩეველები

(ბ) მომჩივნების სახელით

ბ-ნი რ. ჰორველი QC,

ბ-ნი პ. ვეტერბი QC,

ბ-ნი ლ. ჰინდმარში,

ბ-ნი ს. კრეიტონი,

ბ-ნი ბ. ვუდსი,

პროფ. დ. ვან სილ სმითი,

ადვოკატები

მრჩეველები

სასამართლომ მოუსმინა ბ-ნი პერისა და ბ-ნი ვეტერბის გამოსვლებს და მათ პასუხებს სასამართლოს შეკითხვებზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

ა. შესავალი

12. ინგლისსა და უელსში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ მკვლელობისათვის (murder - განზრახ მკვლელობა) სავალდებულო სასჯელად განისაზღვრება უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამჟამად, ამ სასჯელის დაკისრებისას საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, დაადგინოს პატიმრობის მინიმალური ვადა, რომელიც სრულად უნდა იქნას მოხდილი დასჯისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნით. ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც განმხილველმა მოსამართლემ უნდა შეაფასოს შესაბამისი მინიმალური ვადა მოცემულია სისხლის სამართლის შესახებ 2003 წლის კანონის ("2003 წლის აქტი") 21-ე დანართში (იხ. პარაგრაფები 38-39 ქვემოთ). მინიმალური ვადის მოხდის შემდეგ, პატიმარს ენიჭება უფლება მიმართოს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს.

მხოლოდ გამონაკლისის სახით არის შესაძლებელი "უვადო თავისუფლების აღკვეთა" განმხილველი მოსამართლის მიერ მინიმალური ვადის დადგენის გარეშე. აღნიშნული შესაძლოა მოხდეს მაშინ, როდესაც 21-ე დანართში მოცემული პრინციპების გამოყენებით, მოსამართლე მიიჩნევს, რომ დანაშაული განსაკუთრებით მძიმე ხასიათის გახლავთ.

უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში პატიმარი ვერ გათავისუფლდება სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილების გარეშე. სახელმწიფო მდივნის უფლებამოსილება გაათავისუფლოს პატიმარი გაწერილია დანაშაულის (სასჯელის) შესახებ 1997 წლის კანონის 30(1) ნაწილში. სახელმწიფო მდივანი დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებს ხოლმე მაშინ, როდესაც პატიმარი სასიკვდილოდაა დაავადებული ან მნიშვნელოვნად შეზღუდული აქვს შესაძლებლობანი (იხ. საპატიმრო სასჯელის მოხდის შესახებ ბრძანება 4700, განხილული ქვემოთ 43-ე პარაგრაფში).

13. 2003 წლის აქტის ძალაში შესვლამდე, პრაქტიკის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებაზე გადაწყვეტილებას იღებდა განმხილველი მოსამართლე და სახელმწიფო მდივანი, განმხილველი და მთავარი ლორდ მოსამართლის რეკომენდაციების შედეგად, იღებდა გადაწყვეტილებას მოსახდელი

მინიმალური ვადის შესახებ. იმ დროისათვის, მინიმალურ ვადას იხსენიებდნენ როგორც სასჯელის შემადგენელ ნაწილ "ტარიფს".

ასევე, სახელმწიფოს მდივნის პრეროგატივას მიეკუთვნებოდა პატიმრისათვის "უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფის" მისჯაც. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო მდივანი, როგორც წესი, პატიმრობის ოცდახუთ წლის შემდეგ გადახედავდა უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფსა და იღებდა გადაწყვეტილებას თუ რამდენად გამართებული იყო სასჯელის უცვლელად დატოვება, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი განსაკუთრებულად კარგად იქცეოდა ციხეში (იხ. *Hindley* საქმე ქვემოთ პარაგრაფში 46).

2003 წლის აქტის ძალაში შესვლასთან ერთად (და, განსაკუთრებით კანონის 276-ე მუხლისა და 22-ე დანართის გათვალისწინებით, რომელიც ეხება რიგ გარდამავალ დებულებებს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეფარდებულ პატიმრებთან დაკავშირებით: იხ. პარაგრაფი 40 და 41 ქვემოთ), ყველა იმ პატიმარს, რომლის ტარიფიც დადგენილი გახლდათ სახელმწიფო მდივნის მიერ მიენიჭა უფლება მიემართა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსათვის მისი ტარიფის გადახედვის მოთხოვნით. სასამართლოსადმი ამგვარი მიმართვის საფუძველზე, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი გახლდათ დაედგინა პატიმრობის მინიმალური ვადა ან უცვლელი დაეტოვებინა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

14. წინამდებარე საქმე ეხება სამ მომჩივანს, რომლებიც მსჯავრდებულნი იქნენ სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი წარმოების შედეგად ინგლისსა და უელსში, და ამჟამად იხდიან უვადო თავისუფლების აღკვეთას. სამივე მომჩივანს შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა: პირველი მომჩივნის შემთხვევაში სასჯელი გამოტანილ იქნა განმზილველი მოსამართლის მიერ მოქმედი სანქციების სისტემის გათვალისწინებით; მეორე და მესამე მომჩივნების შემთხვევაში კი სასჯელის გასაზღვრა მოხდა 2003 წლის აქტის ძალაში შესვლამდე და დაკისრებულ იქნა უმაღლესი სასამართლოს მიერ. სამივე მომჩივანი ამტკიცებს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა მათი საქმეების გარემოებებში, ეწინააღმდეგება *inter alia* კონვენციის მე-3 და მე-5 § 4 მუხლებს. მხარეების მიერ წარმოდგენილი საჩივრების ფაქტობრივი გარემოებანი შესაძლოა შემდეგგვარად შეჯამდეს.

ბ. ბ-ნი ვინტერი

15. 1996 წლის 20 მაისს პირველ მომჩივანს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა თანამშრომლის მკვლელობის გამო. მინიმალურ მოსახდელ ვადად განისაზღვრა ათი წელი. 2005 წლის 4 აგვისტოს იგი ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლდა.

16. მომჩივანმა ცხოვრება დაიწყო ქალთან ერთად, რომელიც შეიქნა მისი მეორე მკვლელობის მსხვერპლი. წყვილი დაქორწინდა 2006 წლის 27 ივნისს. 2006 წლის 31 დეკემბერს მომჩივანი ჩაერთო ჩხუბში ფაბში, რის შედეგადაც წაუყენეს ბრალი საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევის გამო (უკანონო ძალადობის გამოყენება ან მუქარა). მისი პირობითი მსჯავრი გაუქმდა და იგი დაბრუნდა ციხეში. 2007 წლის ივლისში, ცნო რა თავი საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევაში დამნაშავედ, მომჩივანს მიესაჯა 6 თვე საპატიმრო სასჯელი. იგი ისევ პირობით გათავისუფლდა 2007 წლის დეკემბერში და დაბრუნდა საცხოვრებლად ცოლთან და მის ოთხ შვილთან. წყვილი დაშორდა და პირველმა მომჩივანმა დატოვა სახლი.

17. 2008 წლის 5 თებერვალს, პირველი მომჩივანი გაყვა ცოლს ფაბში, სადაც დალია და გამოიყენა კოკაინი. წყვილმა იჩხუბა და ცოლის ქალიშვილმა, რომელიც იქვე იმყოფებოდა, დაურეკა პოლიციას და შეატყობინა დავის შესახებ. პირველმა მომჩივანმა უბრძანა ცოლს მანქანაში ჩამჯდარიყო. როდესაც ქალიშვილიც ეცადა ჩამჯდარიყო მანქანაში დედის დასაცავად, პირველმა მომჩივანმა მას ძალის გამოყენებით არ მისცა ამის უფლება. შემდეგ მან წაიყვანა ცოლი. როდესაც მას პოლიციამ დაურეკა რათა შეეტყო კარგად იყო თუ არა, პირველმა მომჩივანმა აიძულა ცოლი ეთქვა, რომ კარგად იყო. პირველმა მომჩივანმა თავადაც დაურეკა პოლიციას და უთხრა, რომ მისი ცოლი უსაფრთხოდ და კარგად იყო. რამდენიმე საათის შემდეგ იგი ჩაბარდა პოლიციას და აღიარა ცოლის მკვლელობა. გარდაცვლილის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მას გატეხილი ჰქონდა ცხვირი, აღენიშნებოდა ღრმა და მრავალჯერადი ჩალურჯებანი ყელთან (რაც ასახავდა დახრჩობის მცდელობას) და ოთხი ჭრილობა მკერდში. დანაშაულის ადგილას ნაპოვნი იქნა ორი დანა, რომელთაგანაც ერთს პირი გატეხილი ჰქონდა.

18. 2008 წლის 21 აპრილს, პირველმა მომჩივანმა თავი დამნაშავედ სცნო მკვლელობაში და მიუთითა ადვოკატს არ მოეთხოვა სასჯელის შემსუბუქება, რადგან ეს უკანასკნელი კიდევ უფრო დაამწუხრებდა მსხვერპლის ოჯახს. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ მომჩივანი ხვდებოდა იმ პირთა ვიწრო სიაში, რომელსაც თავისუფლება უვადოდ უნდა აღკვეთოდა. შესაბამისად, მან გამოიტანა სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე.

19. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი 2009 წლის 25 ივნისს. მან გაითვალისწინა სავალდებულო მუდმივი პატიმრობისას მინიმალური ვადის განსაზღვრისათვის დადგენილი ზოგადი პრინციპები (მოცემული 2003 წლის აქტის 21-ე დანართში: მოცემული ქვემოთ, პარაგრაფებში 38 და 39). მან მიიჩნია, რომ დანაშაულის გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა მიზეზი თუ რატომ უნდა მომხდარიყო 2003 წლის აქტის 21-ე დანართით დადგენილი პრინციპებიდან გადახვევა მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილი გახლდათ მკვლელობაში მსჯავრდებული პირის მიერ და შესაბამისად, უვადო თავისუფლების აღკვეთა დასასჯელად და პრევენციისათვის სათანადო სანქციად იქნა მიჩნეული.

გ. ბ-ნი ბამბერი

20. 1985 წლის 7 აგვისტოს მეორე მომჩივნის მშობლებს, ნაშვილებ დასა და მის ორ პატარა შვილს ესროლეს და მოკლეს. მეორე მომჩივანს ბრალად წაუყენეს და შემდეგ მსჯავრი დადეს ამ მკვლელობებში 1986 წლის 28 ოქტომბერს. ბრალდების მხარე მიუთითებდა, რომ მკვლელობები წინასწარგანზრახული და დაგეგმილი გახლდათ და ჩადენილი იყო ფინანსური სარგებლის მიღების მოტივით. ასევე, მიუთითებდა, რომ მეორე მომჩივანმა გადააღაგა დანაშაულის ადგილი რათა შეცდომაში შეეყვანა პოლიცია და მიჩნეულიყო, რომ მისმა ნაშვილებმა დამ ამოხოცა ოჯახი და შემდეგ თავი მოიკლა.

21. საქმის განმხილველმა მოსამართლემ სახელმწიფო მდივანს მიაწოდა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მეორე მომჩივანს უნდა მოეხდა ოცდახუთწლიანი პატიმრობა "მინიმუმ" (თავად მის მიერ იყო ეს სიტყვა გახაზული). განმხილველი მოსამართლის მიერ სახელმწიფო მდივნისადმი მიწერილ წერილს მთავარმა მოსამართლემ დაამატა კომენტარი "ჩემის მხრივ, მე არასდროს გავათავისუფლებდი მას". 1988 წელს სახელმწიფო მდივანმა მეორე მომჩივანს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი. მაშნდელი პრაქტიკის მიხედვით, პატიმარს ამ გადაწყვეტილებას არ ატყობინებდნენ ხოლმე. 1994 წლის 15 დეკემბრის წერილით მომჩივანს შეატყობინეს, რომ სახელმწიფო მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება მასზედ, რომ დასჯასა და პრევენციას ურუნველყოფდა მხოლოდ უვადო თავისუფლების აღკვეთა.

22. 2008 წელს, 2003 წლის აქტის 276-ე მუხლისა და 22-ე თავის ძალაში შესვლის შემდეგ, მეორე მომჩივანმა მიმართა უმაღლეს სასამართლოს და მოითხოვა უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფის გადახედვა. კანონის 21-ე დანართის

გადახედვის შედეგად, უმაღლესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მკვლელობათა რაოდენობისა და წინასწარგანზრახვის გათვალისწინებით, დანაშაული ცალსახად ხვდებოდა იმ საქმეთა კატეგორიაში, რომელთათვისაც განსაზღვრული გახლდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. ასევე, მსხვერპლთა მემკვიდრისა და მეორე მომჩივნის არგუმენტების, მათ შორის მის მიერ ციხეში ქცევისა და პროგრესის შესახებ მოხსენების გათვალისწინებით უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზი თუ რატომ უნდა შეცვლილიყო მთავარი მოსამართლისა და სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილება. შესაბამისად, მანაც შეუფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

23. მეორე მომჩივანმა სააპელაციო სარჩელი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2009 წლის 14 მაისს აპელაცია არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ 1988 წელს, მაშინ როდესაც სახელმწიფო მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფზე, მას ჰქონდა ორი განსხვავებული სამართლებრივი რეკომენდაცია: საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ რეკომენდირებული მინიმუმ ოცდახუთ წელი და მთავარი მოსამართლის მიერ რეკომენდირებული უვადო თავისუფლების აღკვეთა. სახელმწიფო მდივანს ჰქონდა საშუალება აერჩია ამ ორიდან ერთ-ერთი ან არცერთი. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ მისჯილი უვადო თავისუფლების აღკვეთა არამარტო მართებული იყო დასჯისა და პრევენციის მიზნებისათვის, არამედ სრულიად სამართლიანიც გახლდათ.

24. წინარე გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით საქმეში *R v. Bieber* (იხ. პარაგრაფი 47 ქვემოთ), მან დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენებას რადგან უვადო თავისუფლების აღკვეთა არ იყო შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა როგორც ეს მოხმობილი გახლდათ საქმეში *Kafkaris v. Cyprus* ([GC], no. 21906/04, ECHR 2008-...). საბოლოოდ, მან დაადგინა, რომ 2003 წლის აქტით შექმნილი გადახედვის პროცედურა შესაბამისობაში გახლდათ კონვენციის მე-7 მუხლთან, რადგან ჯეროვნად განმარტების შემთხვევაში, შესაბამისი დებულება არ უშვებდა პატიმრის არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენას სასჯელის გადახედვის გამო: დადგენილი სასჯელი შესაძლებელი იყო შემცირებულიყო ან შენარჩუნებულიყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გაზრდილიყო ან განვრცობილიყო.

25. მეორე მომჩივანმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოთხოვა დასტური მასზედ, რომ მისი გადაწყვეტილება ეხებოდა სამართლის ისეთ საკითხს, რომელიც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ხასიათისა გახლდათ და შესაბამისად, უნდა

განხილულიყო ლორდთა პალატის მიერ. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა 2009 წლის 23 ივნისს.

დ. ბ-ნი მური

26. 1996 წლის 29 ნოემბერს, ჩესტერის სამეფო სასამართლომ მესამე მომჩივანს მსჯავრი დასდო ოთხ მკვლელობაში. მსხვერპლნი გახლდნენ ჰომოსექსუალი კაცები და მომჩივანს, რომელიც თავადაც ჰომოსექსუალია, ბრალად ედებოდა ამ მკვლელობების ჩადენა საკუთარი სექსუალური დაკმაყოფილებისათვის. ყოველ მსხვერპლს მიყენებული ჰქონდა მრავალჯერადი ჭრილობა დიდი საბრძოლო დანით, რომელიც მესამე მომჩივანმა სწორედ ამ მიზნით შეიძინა. პირველ მსხვერპლს იგი თავს დაესხა მისსავე სახლში 1995 წლის 23 სექტემბერს. მალევე, 1995 წლის 7 ოქტომბერს მესამე მომჩივანმა ბარში გაიცნო მეორე მსხვერპლი და შეუთანხმდა შინ წაეყვანა სექსუალური კონტაქტის დამყარების მიზნით; ამის ნაცვლად მან იგი ტყეში წაიყვანა, მიაყენა მრავალჯერადი სასიკვდილო ჭრილობები და სხეული იქვე დატოვა. მესამე მსხვერპლი სასიკვდილოდ დაჭრა მის საცხოვრებელ ფურგონში 1995 წლის 30 ნოემბერს. საბოლოოდ, 1995 წლის შობამდე მცირე ხნით ადრე, მესამე მომჩივანი წავიდა პლიაჟზე, რომელიც ცნობილი იყო ჰომოსექსუალებს შორის გაცნობის ადგილად. მეოთხე მსხვერპლი მან სწორედ პლიაჟზე გაიცნო და იქვე დაჭრა.

27. პირველი და მესამე დაზარალებულების სისხლი აღმოჩენილ იქნა მესამე მომჩივნის ქურთუკსა და დანაზე. პირველი, მეორე და მეოთხე დაზარალებულების საკუთრებანი აღმოჩენილ იქნა მესამე მომჩივნის საკუთრებაში. მომჩივანმა აღიარა ოთხივე მკვლელობა პოლიციაში. პოლიციამ არ იცოდა მეორე მსხვერპლის შესახებ და შეიტყო მომჩივნის მიერ ხსენების შედეგად. სხეული ტყეში სწორედ მისი დახმარებით აღმოაჩინეს. სასამართლოზე მომჩივნის დაცვა მიუთითებდა, რომ მკვლელობები სხვა პირის მიერ იყო ჩადენილი თუმცა, იგი აღიარებდა, რომ იმყოფებოდა ყველა მკვლელობის ადგილზე, გარდა მეორე მსხვერპლისა.

28. მესამე მომჩივნის მსჯავრდების შემდეგ, საქმის განხილველმა მოსამართლემ მიუსაჯა მას უვადო თავისუფლების აღკვეთა და რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფო მდივანს, რომ მომჩივანი არასდროს გათავისუფლებულიყო. განხილვის შემდეგ, მთავარმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ მისი აზრით გათავისუფლების მოთხოვნაზე უფლება მას წარმოეშვებოდა ოცდაათი წლის მოხდის შემდეგ. 2002 წლის 27 სექტემბერს სახელმწიფო მდივანმა გადაწყვიტა მისთვის შეეფარდებინა უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი.

29. 2008 წელს, სისხლის სამართლის შესახებ 2003 წლის აქტის 276-ე მუხლისა და 22-ე თავის მიხედვით მესამე მომჩივანმა მიმართა უმაღლეს სასამართლოს მოთხოვნით გადასინჯულიყო სახელმწიფო მდივნის მიერ დაწესებული უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი. 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მთავარი მოსამართლის რეკომენდაცია მინიმუმ ოცდაათწლიანი პატიმრობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია რეკომენდაცია მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ მთავარ მოსამართლეს არ ევალებოდა 21-ე დანართის პრინციპების გათვალისწინება, განსხვავებით სასამართლოსაგან. მან ასევე არ ჩათვალა, რომ ირღვეოდა კონვენციის მე-6 მუხლი იმის გამო, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი დადგენილი გახლდათ სახელმწიფო მდივნის მიერ. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონის 22-ე თავისა და 276-ე მუხლით გაწერილი პროცედურა უმაღლესი სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ ადგენდა აუცილებელ დამოუკიდებელ შეფასების სისტემას პატიმრის გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაში გახლდათ კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებთან. სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადის განსასაზღვრი ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით (მოცემული კანონის 21-ე დანართში), არ წარმოიშვებოდა თვითნებურობის საკითხი და ის, თუ რამდენად არაპროპორციული გახლდათ სასჯელი, დამოკიდებული იყო ყოველი საქმის გარემოებებზე.

30. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა იმის გამო, რომ საქმე ეხებოდა ორზე მეტი პირის მკვლელობას, სექსუალურ ან სადისტურ ქცევას და წინასწარი განზრახვის გარკვეულ ზღვარს, 21-ე დანართის მიხედვით სასჯელი გახლდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქმეში არ არსებობდა შემამსუბუქებელი გარემოებანი და მთავარმა მოსამართლემაც კი, მიუხედავად მის მიერ რეკომენდირებული ოცდაათი წლის პატიმრობისა, გაიზიარა საქმის განმხილველი მოსამართლის პოზიცია, რომ მესამე მომჩივნის გათავისუფლება შესაძლოა არასდროს ყოფილიყო უსაფრთხო. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზი რათა შემცირებულიყო თავდაპირველად დადგენილი უვადო თავისუფლების აღკვეთა. უმაღლესმა სასამართლომ დასძინა, რომ თავდაპირველად სასჯელი რომც ყოფილიყო მინიმუმ ოცდაათწლიანი პატიმრობა, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობები საჭროებდნენ უვადო თავისუფლების აღკვეთას.

31. 2009 წლის 26 თებერვალს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მესამე მომჩივნის საჩივარი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასამართლო არამართო უფლებამოსილი, არამედ მართალიც გახლდათ როდესაც დაასკვნა, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო უვადო თავისუფლების აღკვეთა.

32. როგორც ჩანს, მესამე მომჩივანმა იმისათვის, რომ ჰქონოდა ლორდთა პალატაში მიმართვის უფლება, შემდეგ მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოთხოვა დაედგინა, რომ გადაწყვეტილება ეხებოდა სამართლის ისეთ საკითხებს, რომელსაც ჰქონდა ზოგადად საზოგადოებრივი მნიშვნელობა და რომ უნდა განხილულიყო ლორდთა პალატის მიერ. 2009 წლის 14 აგვისტოს სააპელაციო სასამართლოს აპელაციის ოფისმა მას შეატყობინა - იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა მას უფლება გაესაჩივრებინა სასჯელი (განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც ხდება ნებართვის გაცემა სასჯელის გასაჩივრებაზე და შემდეგ არ ხდება მისი დაკმაყოფილება), ვერ დადგინდებოდა ლორდთა პალატაში გასაჩივრების საჭიროება.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. ადამიანის უფლებების შესახებ 1998 წლის კანონი

33. ადამიანის უფლებების შესახებ 1998 წლის კანონის ("ადამიანის უფლებათა აქტი") 3(1) მუხლი აღნიშნავს შემდეგს:

"იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, მთავარი და დამხმარე კანონმდებლობა უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნას კონვენციით დადგენილი უფლებების შესაბამისად".

აქტის 6(1) მუხლი აღნიშნავს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ კონვენციით დაცული უფლების დამრღვევი მოქმედება კანონის ეწინააღმდეგება.

მუხლი 7(1) მიხედვით კი ნებისმიერი პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ საჯარო ხელისუფლებამ იმოქმედა 6(1) მუხლის დარღვევით, უფლებამოსილია შეიტანოს სარჩელი მოცემული ორგანოს წინააღმდეგ.

ბ. კანონით განსაზღვრული დებულებები სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ

1. მკვლელობის (სიკვდილით დასჯის გაუქმება) შესახებ 1965 წლის კანონი

34. ინგლისსა და უელსში მკვლელობისათვის სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება მკვლელობის (სიკვდილით დასჯის გაუქმება) შესახებ 1965 წლის კანონის 1(1) მუხლით.

2. სისხლის სამართლის შესახებ 2003 წლის კანონი

(ა) ნაწილი 12, თავი 7

35. ლორდთა პალატის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სახელმწიფო მდივნის უფლებამოსილება პატიმრებს განუსაზღვროს სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა დანაშაულის (სასჯელის) შესახებ 1997 წლის კანონის 29-ე მუხლის მიხედვით შეუსაბამო გახლდათ კონვენციის მე-6 მუხლთან საქმეში *R (Anderson) v. the Secretary of State for the Home Department* [2003] 1 AC 837. ამის შედეგად მიღებულ იქნა სისხლის სამართლის შესახებ 2003 წლის კანონის მე-12 ნაწილის მე-7 თავი (მუხლები 269-277) ("უვადო თავისუფლების აღკვეთის შედეგები") და იმავე კანონის 21-ე და 22-ე დანართები.

36. 2003 წლის აქტის 269-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს საქმის განმხილველ მოსამართლეს გამოიტანოს სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა და განსაზღვროს თუ რა ვადა უნდა მოიხადოს პატიმარმა სავალდებულოდ იმისათვის, რომ მიეცეს უფლება მოითხოვოს ვადამელი პირობითი გათავისუფლება. 269(3) მუხლის მიხედვით, აღიშნული მინიმალური ვადა უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის გარემოებებს. მუხლი 269(4) საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, არ მისცეს პატიმარს ვადამდელი გათავისუფლების უფლება (ანუ, დაუწესოს "უვადო თავისუფლების აღკვეთა"). 269(4) მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ დამნაშავეზე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი ან მეტი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. 269(5) მუხლით საქმის განმხილველი მოსამართლე, განიხილავს რა დანაშაულის სიმძიმეს, *inter alia* ითვალისწინებს აქტის 21-ე დანართში მოცემულ პრინციპებს.

37. 276-ე მუხლს მოქმედებაში მოჰყავს 22-ე დანართი (გარდამაველი შემთხვევების შესახებ): იხ. პარაგრაფი 40 ქვემოთ.

(ბ) დანართი 21

38. დანართი 21 ("სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთისას მინიმალური ვადის განსაზღვრა") განსაზღვრავს სამ განსხვავებულ "საწყის

წერტილს" რომელიც შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების შესაბამისად: უვადო თავისუფლების აღკვეთა, მინიმუმ ოცდაათწლიანი პატიმრობა და მინიმუმ თხუთმეტწლიანი პატიმრობა.

39. დანართის 4(1) პარაგრაფის მიხედვით, თუკი დანაშაული "განსაკუთრებით მძიმეა" გამოყენებულ უნდა იქნას უვადო თავისუფლების აღკვეთა. 4(2) პარაგრაფი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, რომლებიც, როგორც წესი, ხვდებიან მოცემულ კატეგორიაში:

"(ა) ორი ან მეტი პირის მკვლელობა, სადაც ყოველი მკვლელობა მოიცავს ქვემოთმოცემულიდან ერთ-ერთს:

(i) წინასწარი განზრახვისა თუ დაგეგმვის სათანადო დონე.

(ii) მსხვერპლის გატაცება, ან

(iii) სექსუალური ან სადისტური საქციელი.

(ბ) ბავშვის მკვლელობა მისი გატაცებით ან სექსუალური ან სადისტური მოტივით,

(გ) პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნით ჩადენილი მკვლელობა, ან

(დ) მკვლელობა ჩადენილი მკვლელობაში მსჯავრდებული პირის მიერ."

5(1) პარაგრაფის მიხედვით, თუკი დანაშაულის სიმძიმე არ ხვდება 4(1) პარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოებებს შორის, მაგრამ "განსაკუთრებით მძიმეა", შესაბამისი საწყისი წერტილი მინიმალური ვადის განსაზღვრისას გახლავთ ოცდაათწლიანი პატიმრობა. პარაგრაფი 5(2) აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიაში ხვდება, როგორც წესი, შემდეგი შემთხვევები:

"(ა) პოლიციელის ან ციხის ბადრაგის მკვლელობა მათ მიერ სამუშაოს შესრულების დროს,

(ბ) მკვლელობა ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღითა თუ ასაფეთქებელი ნივთიერებით,

(გ) ანგარებით ჩადენილი მკვლელობა (მათ შორის მკვლელობა ჩადენილი ყაჩაღობისა თუ ქურდობის ან მისი ხელშეწყობის დროს, გარდაცვალების შედეგად ანაზღაურების ან სარგებლის მიღების მოლოდინით),

(დ) მკვლელობა, რომელიც მიზნად ისაავს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას ან მასში ჩარევას,

(ე) მკვლელობა სექსუალური ან სადისტური მოქმედებით,

(ვ) ორი ან მეტი პირის მკვლელობა,

(ზ) მკვლელობა რასობრივი, რელიგიური ან სექსუალური ორიენტაციის გამო,

(თ) მკვლელობა, რომელიც ხდება 4(2) პარაგრაფში, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 21 წელი."

მე-6 და მე-7 პარაგრაფები აღნიშნავენ, რომ ყველა სხვა შემთხვევაში მინიმალური მოსახდელი ვადა უნდა განისაზღვროს სულ მცირე თხუთმეტწლიანი პატიმრობით (თორმეტი წელი მათთვის, ვისაც არ შესრულებიათ თვრამეტი წელი).

მე-8 და მე-9 პარაგრაფების მიხედვით, საწყისი წერტილის არჩევის შემდეგ საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს არსებული დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომელიც აისახება ნებისმიერი ვადის მინიმუმზე (მიუხედავად საწყისი წერილისა) ან უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებაზე.

მე-10 პარაგრაფი ჩამოთვლის დამამძიმებელ გარემოებებს:

"(ა) დაგეგმვისა თუ წინასწარი განზრახვის მნიშვნელოვანი მასშტაბი,

(ბ) მსხვერპლის განსაკუთრებული მოწყვლადობა მისი ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო,

(გ) მსხვერპლისადმი სიკვდილამდე მიყენებული სულიერი ან ფიზიკური ტანჯვა,

(დ) ნდობის ბოროტად გამოყენება,

(ე) სხვა პირის მიმართ ძალდატანება ან მუქარა დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობის მიზნით,

(ვ) ის ფაქტი, რომ მსხვერპლი ახორციელებდა საჯარო სამსახურს ან ასრულებდა საჯარო მოვალეობას, და

(ზ) სხეულის დამალვა, განადგურება ან დანაწევრება."

მე-11 პარაგრაფი ჩამოთვლის შემამსუბუქებელ გარემოებებს:

"(ა) სხეულის მძიმედ დაზიანების და არა მკვლელობის მიზანი,

(ბ) წინასწარი განზრახვის არარსებობა,

(გ) ის ფაქტი, რომ დამნაშავე დაავადებულია გონებრივი აშლილობით ან მენტალური არასტაბილურობით, რომელიც (მართალია არ ხვდება მკვლელობის (*Homicide* - გაუფრთხილებლობით მკვლელობა) შესახებ 1957 წლის კანონში (გ.11)), ამსუბუქებს მისი ბრალიანობის მასშტაბს,

(დ) დამნაშავის პროვოცირება (მაგალითად, განგრძობადი სტრესის საფუძველზე) რომელიც არ წარმოადგენს გამამართლებელ დაცვას პროვოცირებისაგან,

(ე) დამნაშავის მოქმედება თავდაცვის ფარგლებში,

(ვ) დამნაშავის რწმენა, რომ მკვლელობა წარმოადგენდა შებრალების აქტს, და

(ზ) დამნაშავის ასაკი."

(გ) დანართი 22

40. 22-ე დანართი ("სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა: გარდამავალი საქმეები") ეხება გარდამავალ ზომებს იმ პატიმრების შემთხვევაში, რომელთაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ აქტის 269-ე მუხლის ძალაში შესვლამდე და რომელთა მინიმალური საპატიმრო ვადაც განისაზღვრა სახელმწიფო მდივნის მიერ. იგი ასევე ვრცელდება იმ პატიმრებზე, რომელთა მიმართებაშიც სახელმწიფო მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება არასდროს შეხებოდათ ვადამდელი პირობით გათავისუფლება (ანუ, ის პატიმრები რომელთაც შეეფარდათ სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა). დანართის მე-3 პარაგრაფი უფლებას აძლევს ორივე კატეგორიის პატიმრებს მიმართონ უმაღლეს სასამართლოს. უმაღლესი სასამართლოსადმი მიმართვისას, იმ პატიმრების შემთხვევაში რომელთაც მინიმალური საპატიმრო ვადა განუსაზღვრა სახელმწიფო მდივანმა, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, სადაც დააკონკრეტებს იმ მინიმალურ ვადას, რომელიც პატიმარმა უნდა მოიხადოს მანამდე, სანამ მიეცემა უფლება მოითხოვოს ვადამდელი გათავისუფლება. 3(1)(ბ) პარაგრაფის მიხედვით, იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო მდივანმა შეატყობინა პატიმარს სრული უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფის შესახებ, უმაღლეს სასამართლოს ენიჭება უფლება მიიღოს გადაწყვეტილება არ მისცეს პატიმარს ვადამდელი გათავისუფლების მოთხოვნის უფლება ("სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა").

უმაღლესი სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სახელმწიფო მდივნის მიერ დადგენილ ვადაზე მეტი (პარაგრაფი 3(1)(ა)).

მსგავსი დებულებანი ვრცელდება იმ სასჯელებზეც, რომელიც გამოტანილი იქნა აქტის ამოქმედების შემდეგ მის ძალაში შესვლამდე ჩადენილ მკვლელობებთან მიმართებაში. მე-10 პარაგრაფი ადგენს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი დააწესოს სასჯელი, რომელიც მისი აზრით, იმაზე მეტი იქნებოდა ვიდრე ის სასჯელი, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებდა სახელმწიფო მდივანი აქამდე არსებული პრაქტიკის მიხედვით.

41. პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მინიმალური ვადის განსაზღვრისას მე-3 პარაგრაფით წარმოდგენილი მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უმაღლესმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს *inter alia* დანაშაულის სიმძიმე და, საკითხის განხილვისას უნდა დაეფუძნოს 21-ე დანართში წარმოდგენილ ზოგად პრინციპებსა და საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ სახელმწიფო მდივნისა თუ მთავარი მოსამართლისადმი წარდგენილ სხვა რეკომენდაციებს (22-ე დანართის მე-4 და მე-5 პარაგრაფები). მანამდე, სანამ უმაღლესი სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას სარჩელის პასუხად, დამნაშავე უფლებამოსილია უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ იქნას, მათ შორის ციხეში მისი ქცევისა და დანაშაულის ჩადენის შემდეგ პროგრესის შესახებ საკითხებზეც. წარმოდგენა შესაძლებელია მსხვერპლისა და მათ ოჯახების მიერაც.

გ. სახელმწიფო მდივნის დისკრეციული უფლებამოსილება გათავისუფლების შესახებ

42. დანაშაულების (სასჯელების) შესახებ 1997 წლის კანონის 30(1) მუხლის მიხედვით სახელმწიფო მდივანს შეუძლია ნებისმიერ დროს პირობით გაათავისუფლოს პატიმარი თუკი მიიჩნევს, რომ არსებობს გამონაკლისი გარემოებანი, რომელიც ამართლებს პატიმრის გათავისუფლებას თანაგრძნობის მოტივით.

43. მოცემული უფლების განსახორციელებელი კრიტერიუმები მოცემულია საპატიმრო სასჯელის მოხდის შესახებ 4700 ბრძანების მე-12 თავში. მოცემული ბრძანება გაიცემა სახელმწიფო მდივნის მითითებით. იგი ადგენს განუსაზღვრელი ვადით პატიმრობამისჯილი პატიმრების მართვის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებს (მათ შორის სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაშიც) როგორც პატიმრობისას, ისე პირობითი გათავისუფლების შემთხვევაშიც.

მე-12 თავი აღნიშნავს:

" განუსაზღვრელი ვადით პატიმრობამისჯილი პატიმრის ("გვპ") სამედიცინო საფუძველზე თანაგრძნობით გათავისუფლების კრიტერიუმები გახლავთ შემდეგი:

- პატიმარი არის სასიკვდილოდ ავად და სავარაუდოა, რომ მისი გარდაცვალება მალევე დადგება (დადგენილი არ არის ვადები, მიიჩნევა, რომ 3 თვე გახლავთ სათანადო დრო მოთხოვნის წარსადგენად საჯარო დაცვის საქმის განყოფილებაში [PPCS]), ან "გვპ" (განუსაზღვრელი ვადით პატიმრობამისჯილი) არის საწოლზე მიჯაჭვული ან გააჩნია

მსგავსი ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა, მაგალითად, პარალიზებულია ან იტანჯება შეტევის შედეგად;

და

- დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე (განსაკუთრებით სექსუალური ან ძალადობრივი ხასიათის) მინიმალურია;

და

- მისი განგრძობადი პატიმრობა შეამცირებს პატიმრის სიცოცხლის ხანგრძლივობას;

და

- არსებობს პატიმრის მოვლისათვის სათანადო პირობები ციხის მიღმა;

და

- ნაადრევი გათავისუფლება მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს პატიმარსა თუ მის ოჯახს"

[ხაზგასმა მოცემულია ორიგინალში]

ბრძანება ასევე აღნიშნავს, რომ თანანგრძნობითი გათავისუფლება უნდა დადასტურდეს მინისტრის მიერ; ეს არ გახლავთ იმ ტიპის გადაწყვეტილება რომლის დელეგირებაც ხდება მოხელეებზე.

44. მთავრობის მიხედვით, 2011 წლის 28 აპრილისათვის ინგლისსა და უელსში სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული გახლდათ 4,900 პატიმარისათვის.

მათ შორის ორმოცდაერთი პატიმარის სასჯელია სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა (დაცულ ჰოსპიტალებში მყოფთა ჩათვლით). 2000 წლიდან არცერთი უვადო თავისუფლების აღკვეთამისჯილი პირი არ გათავისუფლებულა თანანგრძნობის მოტივით. პირველი მომჩივნის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში მოთხოვნილი მონაცემების მიხედვით, იუსტიციის სამინისტრომ მიუთითა, რომ 2009 წლის 30 ნოემბრისათვის ცამეტი უვადო თავისუფლების აღკვეთამისჯილი პირი, რომელთაც არ ჰქონდათ მისჯილი სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა, გათავისუფლებულ იქნენ თანანგრძნობის საფუძველზე.

დ. შესაბამისი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა უვადო თავისუფლების აღკვეთასა და კონვენციასთან მიმართებაში

1. 2003 წლის აქტით შექმნილ სისტემამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა

45. საქმეში *R. v. Lichniak* and *R. v. Pyrah* [2003] 1 AC 903 ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ იმ დროისათვის მოქმედი სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებს.

მოცემული სასჯელი გახლდათ ნაწილობრივ სადამსჯელო და ნაწილობრივ პრევენციული ხასიათის. სადამსჯელო ელემენტი წარმოდგენილ იყო ტარიფით, რომელიც სასჯელის სახით ეკისრებოდა მძიმე დანაშაულის ჩამდენ მკვლელობისათვის მსჯავრდებულ პირს. პრევენციული ელემენტი კი გამოიხატებოდა მსჯავრდებული მკვლელის ციხეში ყოფნით მანამდე სანამ და თუკი, ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭო, დამოუკიდებელი ორგანო, არ მიიჩნევს მის გათავისუფლებას უსაფრთხოდ. პრევენციის ნაწილი გახლავთ უფლება უკან, ციხეში იქნეს დაბრუნებული პირი საზოგადოების დაცვის მიზნით (ლორდი ბინჰემი ქორნჰილიდან, გადაწყვეტილების მე-8 პარაგრაფი).

ლორდთა პალატამ თავდაპირველად აღნიშნა, რომ მომჩივნის სასარჩელო მოთხოვნები არ იყო საკმარისად მწვავე რათა მოქმედებაში მოეყვანა კონვენციის მე-3 მუხლი და ამასთანავე მიუთითა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არ იყო თვითნებური ან რაიმე სხვა ფორმით შეუსაბამო კონვენციის 5 § 1 მუხლთან. ლორდმა ბინჰემმა აღნიშნა:

"ვეჭვობ ეჭვი შემეპაროს პალატის გადაწყვეტილების შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებთან ... და ვერც თვითნებურად ან არაპროპორციულად მივიჩნევდი უვადო თავისუფლების აღკვეთას მკვლელობაში მსჯავრდებული პირისათვის, რათა მან სამუდამოდ დათმოს თავისუფლება და პატიმრობაში დარჩეს მანამდე (თუკი ეს ოდესმე მოხდება) სანამ სახელმწიფო მდივანი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ინტერესი უკეთ იქნება დაცული მისი გათავისუფლებით ვიდრე მისი განგრძობადი პატიმრობით."

46. საქმეებში *R. v. Secretary of State for the Home Department, ex parte Hindley* [2001] 1 AC 410, HL და *R. v. Anderson* [2003] 1 AC 837, HL, ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ მაშინ მოქმედი ტარიფის სისტემის მიხედვით "არ არსებობდა მიზეზი, თუ რატომ არ უნდა დაემსახურებინა შემზარავ დამნაშავეს ან დამნაშავეებს სამუდამო განცალკევება სწორედ რომ დასჯის მიზნით (ლორდი სტეინი, გვ. 416H). ლორდმა სტეინმა ასევე აღნიშნა: "არ არსებობს ლოგიკური შეუსაბამობა ტარიფის სისტემასთან, რადგან არსებობს შემთხვევები როდესაც ჩადენილი დანაშაული იმდენად შემზარავი ხასიათისაა, რომ გარდაცვალებამდე პატიმრობაც კი არ არის საკმარისი მასზე პასუხისსაგებად და შესაკავებლად (გვ.417H). ლორდთა პალატამ

ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფო მდივანი სამართლიანად შეზღუდულად იყენებდა მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეხილა იმ პატიმართა საქმეები, სადაც სრული უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი იყო გამოყენებული მას შემდეგ რაც პატიმარი მოიხდიდა პატიმრობის ოცდახუთ წელს და შეემცირებინა ტარიფი სათანადო შემთხვევებში. გადაწყვეტილება ეხება 1997 წლის 10 ნოემბრისათვის სახელმწიფო მდივნის პოლიტიკის შესახებ ანგარიშს, სადაც სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, რომ იგი მზად იყო, განსაკუთრებულ შემთხვევებში, *მათ შორის*, პატიმრობისას განსაკუთრებული პროგრესისას, გადაეხედა და შეემცირებინა ტარიფი საჭიროების მიხედვით. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ იგი ამ შესაძლებლობას ითვალისწინებდა ოცდახუთწლიანი პატიმრობის შემდეგ იმ პატიმართა საქმეების განხილვისას, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი და მსგავს შემთხვევაში იგი საკითხის განხილვისას არ იფარგლებოდა დასჯისა და შეკავების კრიტერიუმებით (გვ.417A-C).

2. 2003 წლის აქტით დადგენილი სისტემის სასამართლო პრაქტიკა და მისი შესაბამისობა კონვენციის მე-3 მუხლთან

(ა) საქმე R v. Bieber

47. საქმეში *R v. Bieber* [2009] 1 WLR 223 სააპელაციო სასამართლომ განიხილა 2003 წლის აქტის შესაბამისობა კონვენციის მე-3 მუხლთან *Kafkaris v. Cyprus* [GC], no. 21906/04, ECHR 2008-... საქმის გათვალისწინებით.

Kafkaris საქმის თანახმად სასამართლომ დაადგინა, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა შესაძლოა წარმოშობდეს მე-3 მუხლით განსაზღვრულ გარემოებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

"მიგვაჩნია, რომ სასამართლომ [*Kafkaris* საქმეში] ჩათვალა, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთას მოქმედებაში მოჰყავს მე-3 მუხლი იმ შემთხვევებში, სადაც შესაძლოა დამნაშავეს თავისუფლება აღეკვეთოს პატიმრობის ლეგიტიმური მიზნებით გამართლებულ ვადაზე ხანგრძლივად. მოცემული ხედვა გამოსჭვივის, რადგან მე-3 მუხლი მოქმედებაში არ მოვა, თუკი, კანონისა და პრაქტიკის მიხედვით, იარსებებს დამნაშავეს გათავისუფლების საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების ალბათობა შეიძლება ნაკლებსაპარაუდო გახლდეთ. მთავარი მოთხოვნა გახლავთ გადახედვის შესაძლებლობის არსებობა რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად გამართლებულია თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება.

40. თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმური მიზნები გახლავთ დასჯა, პრევენცია, რეაბილიტაცია და საზოგადოების დაცვა. დანაშაულისათვის სავალდებულოდ უვადო თავისუფლების აღკვეთისას, არსებობს პატიმრის სიცოცხლის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. შესაძლოა მან სასჯელი მოიხადოს საკმარისად რათა დააკმაყოფილოს სასჯელისა და პრევენციის მიზნები და რეაბილიტაციის შედეგად შესაძლოა იგი იმგვარ პირად ჩამოყალიბდეს, რომელიც აღარ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. თუ, მიუხედავად აღნიშნულისა, იგი ისევ თავისუფლება აღკვეთილი იქნება დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე, შესაძლებელია ვიდავოთ, რომ ადგილი აქვს არაადამიანურ მოპყრობას. შესაბამისად, ჩვენ ვასკვნით, რომ როდესაც დანაშაული იმსახურებს სავალდებულო და შეუმცირებელ უვადო თავისუფლების აღკვეთას მიუხედავად დანაშაულის გარემოებებისა, მოქმედებაში მოდის მე-3 მუხლი.

41. *Kafkaris* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება წარმოშობს უფრო რთულ საკითხებს. არსებობს თუ არა გარკვეული მაქსიმალური თავისუფლების აღკვეთის ვადა, რომელიც გამართლებულია სასჯელისა და პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე და რომლის შემდეგაც პატიმარი, რომელიც რეაბილიტაციის შედეგად ჩამოყალიბდა საზოგადოებისათვის უსაფრთხო პირად, უნდა გათავისუფლდეს? თუკი ამ შეკითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ შეუმცირებელი სამუდამო თავისუფლების აღკვეთამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის პატიმრობა ხსენებული ვადის შემდეგაც, რაც შესაძლოა არაადამიანურად იქნეს მიჩნეული და შედეგად წარმოშოს მე-3 მუხლით დადგენილი გარემოებანი. მოსამართლე ბრატცას განსხვავებული მოსაზრება და ხუთი სხვა მოსამართლის საწინააღმდეგო მოსაზრება გვთავაზობს, რომ ისინი სწორედ ამ პოზიციას იზიარებდნენ. ჩვენს მიერ მოხმობილი ევროპული მასალა მიუთითებს, რომ წევრ სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ არსებობს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა, რომელიც გამართლებულია დასჯის მიზნებიდან გამომდინარე. ადამიანურობიდან გამომდინარე, საჭიროა დამნაშავეს მიეცეს საშუალება დაამტკიცოს, რომ იგი მზადაა დაუბრუნდეს საზოგადოებას.

42. გაერთიანებული სამეფო არ იზიარებს ამგვარ მიდგომას. 2003 წლის აქტის 21-ე დანართი აღნიშნავს, რომ რიგი დანაშაულები იმდენად შემზარავია, რომ ამართლებს დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთას უვადოდ, რაოდენ ხანგრძლივიც არ უნდა იყოს ეს ვადა. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა და ამ მიდგომას შორის განსხვავება აღიარებულ იქნა *Kafkaris* საქმის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების 104 პარაგრაფში. მოცემულ საქმეში სასამართლო განიხილავდა სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთას

და სასამართლოს მიდგომაც სწორედ მოცემულ კონტექსტში უნდა იქნას განხილული. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ დიდი პალატის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ შეუმცირებელი სამუდამო თავისუფლების აღკვეთა, დაწესებული მოსამართლის მიერ რათა ასახოს შესაბამისი სასჯელი და პრევენცია რიგი უმძიმესი დანაშაულებისათვის პოტენციურად ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს."

48. სააპელაციო სასამართლომ შემდეგ განიხილა თუ რამდენად წარმოადგენდა შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა თავისთავად მე-3 მუხლის დარღვევას თუ რამდენად შესაძლოა ადგილი ჰქონოდა პოტენციურ დარღვევას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამნაშავე განაგრძობდა პატიმრობას იმ ვადის შემდეგ, რომელიც საკმარისი იყო სასჯელისა და პრევენციისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ იზიარებდა ამ უკანასკნელ პოზიციას.

49. სააპელაციო სასამართლომ დასკვნა:

"45. მაშინ როდესაც ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით მკვლელობა იმსახურებს სავალდებულოდ უვადო თავისუფლების აღკვეთას, ზოგადად იგი არ წარმოადგენს შეუმცირებელ სასჯელს. დამნაშავის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის წარმოშობამდე, მოსამართლე განსაზღვრავს სავალდებულო მინიმალურ ვადას, რომელიც აუცილებლად არის მიჩნეული სასჯელისა და პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევებში როდესაც ხდება უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება სრულად, იგულისხმება, რომ მოსამართლემ მიიჩნია დანაშაული იმდენად სერიოზულად, რომ დასჯისა და პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, დამნაშავე ციხეში უნდა დარჩეს სამუდამოდ. მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, არ გვგონია თითქოს სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა, ამგვარ გარემოებებში დაწესებული მოსამართლის მიერ, გამოიწვევს მე-3 მუხლის დამრღვევ პატიმრობას. არც ჩვენ მიგვაჩნია თავისთავად ამგვარი სასჯელის შეფარდება დარღვევად.

46. შესაძლებელია სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა შეიცვალოს. ევროპაში ყალიბდება მიდგომა, რომლის მიხედვითაც უკიდურესად ხანგრძლივი და შეუმცირებელი თავისუფლების აღკვეთა აღარ არის მისაღები. შესაბამისად, შესაძლოა საჭირო შეიქნას გადაიხედოს მსგავს იურისდიქციებში უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ფაქტობრივად შეუმცირებელია.

...

48. მოქმედი რეჟიმით, სახელმწიფო მდივანს გააჩნია შეზღუდული უფლებამოსილება გაათავისუფლოს უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი დანაშაულის (სასჯელების) შესახებ 1997 წლის კანონის 30-ე მუხლის მიხედვით.

...

დღეისათვის სახელმწიფო მდივანი იშვიათად იყენებს მოცემულ უფლებამოსილებას, ძირითადად იმ გარემოებებში, როდესაც, მაგალითად პატიმარი სასიკვდილოდ არის ავად ან საწოლს არის მიჯაჭვული ან მსგავსად უნარშეზღუდულია. თუკი მიღწეულ იქნა შეთანხმება მასზედ, რომ პატიმრის განგრძობითი თავისუფლების აღკვეთა განიხილება არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად, ვერ ვხედავთ მიზეზს, კონვენციასთან შესაბამისობის მოთხოვნის ფარგლებში, თუ რატომ არ უნდა გამოიყენოს სახელმწიფო მდივანმა კანონით მინიჭებული უფლება გაათავისუფლოს პატიმარი.

49. ამიტომ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ *Kafkaris* საქმეში გამოყენებული მიდგომის მიხედვით, არ მიგვაჩნია, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა განხილულ უნდა იქნას როგორც შეუმცირებელი სასჯელი. მე-3 მუხლით წარმოდგენილი ნებისმიერი საჩივარი, რომელიც ეხება უვადო თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნეს არა სასჯელის შეფარდებისას, არამედ მაშინ, როდესაც პატიმარი მიიჩნევს, რომ ყველა არსებული გარემოების, მათ შორის მოხდილი სასჯელის ვადისა და ციხეში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, მისი შემდგომი პატიმრობა წარმოადგენს დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას.

50. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვაკმაყოფილებთ მოპასუხის მე-3 მუხლზე დაფუძნებულ სარჩელს სასჯელის შესახებ."

(ბ) საქმე R. v. Oakes and others

50. საქმეში *R v. Oakes and others* [2012] EWCA Crim 2435 სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ განიხილა უვადო თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობა კონვენციის მე-3 მუხლთან. სასამართლომ აღნიშნა:

"ყოველი ცივილიზებული ქვეყანა ითვალისწინებს მე-3 მუხლში გაწერილ პრინციპს.

...

ამასთანავე, ყოველი ცივილიზებული ქვეყანა ასევე ითვალისწინებს იმ პრინციპსაც, რომ სამართლიანი სასჯელი უნდა დაუწესდეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს. მოცემული საკითხები, ეხება რა სამართლიან და პროპორციულ სასჯელს, წარმოადგენს რაციონალური განხილვისა და განსხვავების შესახებ ცივილიზებულად დავის საფუძველს. იმის შეფასება, თუ რა უნდა მივიჩნიოთ სამართლიან და რა არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელად რიგ გარემოებებში შესაძლოა სრულიად სამართლიანად იმსახურებდეს განსხვავებულ პასუხებს სხვადასხვა ქვეყნებში, და ხანდახან სხვადასხვა პასუხს, განსხვავებულ დროს თუნდაც ერთიდაიგივე ქვეყანაშიც კი. ეს ყოველივე, გარკვეულწილად მაინც, გამომდინარეობს ყოველი ქვეყნის განსხვავებული ისტორიიდან. ის, თუ რამდენად წარმოადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-3 მუხლს ან მრავალი წლის განმავლობაში არსებული პრეცედენტული სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სასჯელი პროპორციული უნდა იყოს დანაშაულისა, მისი გარემოებების გათვალისწინებით და რომ დამნაშავე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ჯეროვნად უნდა იქნას განხილული."

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ *Laws LJ in Wellington* (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 54) და მოცემულ საქმეში პალატის უმცირესობა დიდი შემფოთებით განიხილავდა უვადო თავისუფლების აღკვეთას. თუმცა აღნიშნავდა, რომ გამოთქმულ იქნა საწინააღმდეგო პოზიცია, მათ შორის საქმეებში *Hindley* და *Wellington* (იხ. პარაგრაფი 46 ზემოთ და პარაგრაფი 57 ქვემოთ). აუცილებელია ამ საკითხზე არსებული კანონიერი მაგრამ განსხვავებული ხედვების აღიარება და პატივისცემა.

51. წინამდებარე საქმესა და *Babar Ahmad and Others v. the United Kingdom* (nos. 24027/07, 11949/08, 36742/08, 66911/09 და 67354/09, 10 აპრილი 2012), და *Harkins and Edwards v. the United Kingdom* (nos. 9146/07 და 32650/07, 17 იანვარი 2012), საქმეებში ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვის შემდეგ, სასამართლომ დაასკვნა შემდეგი (გადაწყვეტილების 22-ე პარაგრაფში):

"ევროპული სასამართლოს ამ ანალიზიდან ნათელია, რომ სასამართლომ განიხილა მოპასუხისათვის შესაძლებელი შემამსუბუქებელი გარემოებანი, მაშინ, როდესაც უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა სამართლებრივი დისკრეციის უფლების გამოყენებას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ სათანადო სასჯელისა და პრევენციისათვის და მიიჩნია, რომ ადგილი არ ქონდა არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს. ანუ, ყოველი სახელმწიფო თავად ირჩევს უვადო თავისუფლების აღკვეთის დასაწესებლად სათანადო დებულების ფორმულირებას და შესაბამის შემთხვევებში, სამართლებრივი დისკრეციის

ფარგლებში, სასამართლოს აკისრებს მოცემული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას."

52. საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს უკიდურეს ზომას და რომ არცერთი საკანონმდებლო აქტი არ აკისრებს საქმის განმხილველ მოსამართლეს ვალდებულებას შეუფარდოს მოცემული სასჯელი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; ასევე 21-ე დანართში მოცემული პრინციპების მოქნილობის გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ:

"შედეგად, უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირველადი საკანონმდებლო წყაროდან გამომდინარე სასჯელი, გამოიყენება მხოლოდ გამონაკლისის სახით უკიდურესად მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, მას შემდეგ რაც მოხდება საქმეში არსებული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესწავლა და მოსამართლე მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასჯელი და პასუხისგება საჭიროებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. თუკი მოსამართლე მივა მოცემულ დასკვნამდე, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთა შესაფერი სასჯელია: თუმცა, მხოლოდ ამგვარი შეფასების შემდეგ მიიღება მსგავსი გადაწყვეტილება. მოცემული სასჯელი არ წარმოადგენს სავალდებულო ან ავტომატურ ან მინიმალურ სასჯელს.

ასეთ პირობებში, 2003 წლის აქტის 21-ე დანართის დებულებანი და კონკრეტულად მე-4 პარაგრაფი, რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებას შეუფარდოს პირს უვადო თავისუფლების აღკვეთა გამონაკლისად მძიმე შემთხვევებში არ არის შეუსაბამო და არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. "

3. საქმე *R (Wellington) v. Secretary of State for the Home Department* [2008] UKHL 72

53. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოითხოვა რალსტონ ველინგტონის ექსტრადირება გაერთიანებული სამეფოდან რათა წარმდგარიყო მისურის სასამართლოს წინაშე ორი პირის განზრახ მკვლელობისათვის. ექსტრადიის გასაჩივრებისას ბ-ნმა ველინგტონმა აღნიშნა, რომ მისი გადაცემა დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს იმის გამო, რომ არსებობდა რეალური საფრთხე მომხდარიყო მისი დაქვემდებარება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისათვის ვადამდელი პირობით გათავისუფლების უფლების გარეშე უვადო თავისუფლების აღკვეთის შედეგად.

54. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ([2007] EWHC 1109 (Admin)), ლორდმა ლოსმა დაასკვნა, რომ არსებობდა "სისხლისსამართლებრივი ფილოსოფიის ძლიერი არგუმენტები" რომელიც გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე უვადო თავისუფლების აღკვეთა არსობრივად არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს. მან აღნიშნა შემდეგი:

"სიკვდილით დასჯის გაუქმება მისასალმებელია და გამართლებული უმეტესწილად. იგი უნდა ეფუძნებოდეს იმ წინაპირობას, რომ ყოველი პირის სიცოცხლე, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს მისი მოსწრაფება, განუყოფელ ღირებულებას წარმოადგენს. სიცოცხლის განადგურება შესაძლებელია გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში, მაგალითად თავდაცვისა თუ სამართლიანი ომის დროს; თუმცა საპასუხო სასჯელი საკმარისი არ გახლავთ მის გასამართლებლად. პატიმრის თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების იმედის გარეშე დიდწილად სიკვდილით დასჯის ტოლფასია. იგი ვერასდროს გამოიყენება საკუთარ დანაშაულს. თუმცა პატიმრობა შესაძლოა გამოიყენოს ცხოვრების გამოსასწორებლად, მისი სასჯელი მხოლოდ მის ბოლო ამოსუნთქვასთან ერთად ამოიწურება. მსგავსად სიკვდილით დასჯისა, უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი გახლავთ *lex talionis*. მაგრამ მისი არსობრივი და რეალური ფარდობითობა იმ დანაშაულთან, რომლის გამოც მოხდა მისი შეფარდება (*lex talionis* -ის ერთადერთი გამართლება) არ წარმოადგენს ჯეროვანი სასჯელის სათანადო გარანტიას, რადგან უვადო თავისუფლების აღკვეთის ტარიფი თვითნებურია: იგი შესაძლოა გაიზომოს დღეებით ან წლებით იმის მიხედვით თუ რამდენ ხანს იცოცხლებს პატიმარი. შესაბამისად, იგი შესაძლოა არაპროპორციული იყოს - სწორედ ამ წუნის დაგმობა ხდება მე-3 მუხლით - გარდა იმ შემთხვევისა, რა თქმა უნდა, როდესაც გამოიყენება სიკვდილით დასჯის ლოგიკა: დანაშაული იმდენად შემზარავია, რომ მისი გამოსყიდვა შეუძლებელია. თუმცა, ამ შემთხვევაში პატიმრის სიცოცხლის განუყოფელი ღირებულება მცირდება მისი გადარჩენით: სხვა არაფერი თუ არა მისი ბოლო ამოსუნთქვით და, რა თქმა უნდა, ღირსეულ პირობებში მისი ყოფნით. ეს წარმოადგენს სიცოცხლის ღირებულების დაკნინებას და არა აღიარებას."

თუმცა, გარკვეული სიფრთხილით, მან მიიჩნია რომ შესაბამისი ორგანოები, მათ შორის სასამართლოც გვთავაზობდა, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის არ გამოიწვევდა მე-3 მუხლით საკითხის განხილვის საჭიროებას.

55. ველინგტონის აპელაციის პასუხად ლორდთა პალატაში ხუთივე ლორდმა დაადგინა, რომ მისურის მმართველის ხელთ არსებული შეწყალებისა და სასჯელის

შემსუბუქების უფლებამოსილების გათვალისწიებით, მისი სასჯელი ისევე შემცირებადი შეიძლება ყოფილიყო, როგორც ზემოთციტირებულ *Kafkaris* საქმეში.

56. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ზემოთციტირებულ *Kafkaris* საქმეში სასამართლომ მხოლოდ ის განაცხადა, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ეხებოდა მე-3 მუხლით განსაზღვრულ თემას. ხუთივე ლორდმა მიიჩნია, რომ უშუალოდ უვადო თავისუფლების აღკვეთის დაწესება არ წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევით, თუკი იგი არ იყო უხეშად დარღვეული და აშკარად არაპროპორციული. კერძოდ კი ლორდმა ბრაუნმა აღნიშნა, რომ ეს სასამართლო შეუმცირებელ სასჯელსაც კი არ მიიჩნევდა მე-3 მუხლის დარღვევად მანამდე და თუკი დადგებოდა დრო, როდესაც შემდგომი პატიმრობა აღარ იქნებოდა გამართლებული არცერთი საფუძვლით, იქნებოდა ეს დასჯის, პრევენციისა თუ საზოგადოების დაცვის მიზეზით.

57. ამასთანავე, ლორდებმა ჰოფმანმა, სკოტმა, ბარონესა ჰეილიმ და ლორდმა ბრაუნმა ეჭვი შეიტანეს ლორდ ლოს ხედვაზე, რომლის მიხედვითაც ვადამდე პირობით გათავისუფლების უფლების გარეშე უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა *lex talionis*. ლორდმა ჰოფმანმა, ბარონესა ჰეილიმ და ლორდმა ბრაუნმა არ გაიზიარეს იდეა, რომ ყოველი პირის სიცოცხლე წარმოადგენს განუყოფელ ღირებულებას; გაუქმების მხარეს არსებობდა სხვა, უფრო პრაგმატული მიზეზები მათ შორის მისი შეუქცევადობა და პრევენციის ნაკლებობა. ლორდმა სკოტმა არ გაიზიარა ხედვა, რომლის მიხედვითაც შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა იყო არაადამიანური და დამამცირებელი იმის გამო, რომ არ აძლევდა პატიმარს მონანიების საშუალებას; უვადო თავისუფლების აღკვეთის სამართლიან სასჯელად მისჯისას, მონანიება მიიღწეოდა პატიმრის მიერ სასჯელის მოხდით.

58. ველინგტონის მიმართვა ევროპული სასამართლოსადმი ამორიცხულ იქნა სიიდან 2010 წლის 5 ოქტომბერს მომჩივნის მიერ საქმის გამოხმობის სურვილის გამო: *Wellington v. the United Kingdom* (dec.), no. 60682/08, 5 October 2010.

III. შესაბამისი ევროპული, საერთაშორისო და შედარებითი სამართალი უვადო თავისუფლების აღკვეთასა და "უხეშად არაპროპორციული" სასჯელები

59. ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირისა და სხვა საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტები უვადო თავისუფლების აკვეთის შეფარდებისა და გადახედვის შესახებ, მათ შორის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებები პირთა იმ სახელმწიფოთათვის გადაცემისას, რომელშიც ისინი შესაძლოა დაექვემდებარონ

მსგავს სასჯელს, მოცემულია *Kafkaris* საქმეში, ციტირებული ზემოთ, პარაგრაფებში 68-76. მოცემულ საქმეში სასამართლოს წინაშე დამატებითი მასალა (და ის მასალა, რომელიც *Kafkaris* საქმეში აშკარად არის მოხმობილი მხარეების მიერ) შესაძლოა შემდეგგვარად შეჯამდეს.

ა. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

1. რეზოლუცია 76(2)

60. 1976 წლიდან მოყოლებული მინისტრთა კომიტეტმა მიიღო არაერთი რეზოლუცია და რეკომენდაცია გრძელვადიან და უვადო თავისუფლების აღკვეთამისჯილ პატიმრებზე. მინისტრთა კომიტეტის მიერ 1976 წლის 17 თებერვალს მიღებული პირველი რეზოლუცია 76(2) წევრ სახელმწიფოებს რიგ რეკომენდაციებს სთავაზობს, მათ შორის:

"1. იმგვარი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარება, რომლის ფარგლებშიც გრძელვადიანი სასჯელების დაკისრება განხორციელდება მხოლოდ საზოგადოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე;

2. მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომა რათა ხელი შეუწყონ შესაბამის მოპყობას იძულებით [გრძელვადიანი] თავისუფლების აღკვეთისას;

...

9. უზრუნველყონ, რომ ყველა პატიმრის საქმე განხილულ იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადებში რათა დადგინდეს ვადამდელი პირობითი გათავისუფლების შესაძლებლობა;

10. პირობით ვადამდე გაათავისუფლონ ის პატიმრები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით დადგენილი სავალდებულო მინიმალური ვადის მოხდის კრიტერიუმს, რაც შეიძლება მალე მას შემდეგ რაც მოხდება მათი დადებითად შეფასება; ზოგადი პრევენცია არ უნდა იქნას მოხმობილი პირობით გათავისუფლებაზე უარის თქმის მიზეზად;

11. უვადო თავისუფლების აღკვეთის მიმართ გამოყენებულ იქნას იგივე პრინციპები რაც გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთისას;

12. უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში უზრუნველყოფილ იქნას მე-9 პარაგრაფში ნახსენები გადახედვა, არაუგვიანეს პატიმრობის რვიდან-თოთხმეტ წლამდე პერიოდში, თუ არა მანამდე, და გამეორებულ იქნას გადახედვის პროცედურა რეგულარული ინტერვალებით."

2. რეკომენდაცია 2003(23)

61. რეკომენდაცია 2003(23) (ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და გრძელვადიან თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მენეჯმენტის შესახებ) მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 ოქტომბერს. რეკომენდაციის პრეამბულის მიხედვით:

"საპატიმრო სასჯელის აღსრულება საჭიროებს ბალანსის დაცვას ერთი მხრივ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას, წესრიგსა და დისციპლინასა და მეორეს მხრივ, პატიმრებისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფას, აქტიურ რეჟიმებსა და გათავისუფლებისათვის კონსტრუქციულ მომზადებას შორის ..."

რეკომენდაციის მე-4 პარაგრაფი აყალიბებს უვადო და გრძელვადიან თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მენეჯმენტის მიზნებს:

- " - უზრუნველყოფილ იქნას პატიმრებისა და მომსახურე თუ ვიზიტორთათვის საპატიმროების უსაფრთხოება და დაცულობა;
- შემცირებულ იქნას უვადო და გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის დამაზინებელი გავლენა;
- გაიზარდოს და გაუმჯობესდეს პატიმართა საზოგადოებაში დამკვიდრების საშუალებანი, რაც გამოიწვევს მათ კანონმორჩილ ცხოვრებას გათავისუფლების შემდეგ."

ხსენებული ტიპის პატიმართა მენეჯმენტის შესახებ რეკომენდაციის ზოგადი პრინციპები მოიცავს (i) ინდივიდუალიზაციის პრინციპს (მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ მრავალფეროვან პირად მახასიათებლებს, რომელიც გააჩნიათ უვადო და გრძელვადიან პატიმრობამისჯილ პირებს და გათვალისწინებულ იქნას ისინი სასჯელის მოხდისას ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს) და (ii) პროგრესირების პრინციპი (კერძოდ პატიმრის სასჯელის მართვის ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესს ციხის სისტემის დახმარებით) (იხ. რეკომენდაციის მე-3 და მე-8 პარაგრაფები). რეკომენდაციის თანმხლები ანგარიში (მომზადებული დანაშაულის პრობლემატიკის შესახებ ევროპული კომიტეტის მიერ) განავრცობს და აღნიშნავს, რომ ხსენებულ პროგრესს გააჩნია საბოლოო მიზანი: ციხის ცხოვრებიდან საზოგადოებაში ცხოვებაში კონსტრუქციული გადასვლა (ანგარიშის პარაგრაფი 44).

მე-10 პარაგრაფი (სასჯელის დაგეგმვის შესახებ) აღნიშნავს, რომ ამგვარი გეგმები გამოყენებულ უნდა იქნას სისტემური მიდგომისათვის *inter alia*: პროგრესული სვლა ციხის სისტემიდან უფრო ნაკლებად შეზღუდულ პირობებამდე, იდეალურ შემთხვევაში, ბოლო ეტაპის თავისუფალ პირობებში გატარებით, სასურველია საზოგადოებაში; და უნდა შეიქმნას პირობები და მიღებულ უნდა ზედამხედველობის ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილ ცხოვრებასა და საზოგადოებაში დამკვიდრებას პირობითი გათავისუფლების შემდეგ.

მე-16 პარაგრაფი მიუთითებს-იმის გამო, რომ არც სახიფათოა და არც კრიმინოგენულობა არ წარმოადგენს თავისთავად სტაბილურ მახასიათებელს, გარკვეული სიხშირით უნდა მოხდეს საფრთხისა და საჭიროებების განმეორებითი შეფასება.

და ბოლოს, 33-ე და 34-ე პარაგრაფები (საზოგადოებაში რეინტეგრაციის მართვის შესახებ) აღნიშნავს:

"33. იმისათვის, რომ დავეხმაროთ უვადო და გრძელვადიან პატიმრებს გადალახონ ხანგრძლივი პატიმრობის შედეგად გამოწვეული კონკრეტული პრობლემები და დაიწყონ კანონმორჩილი ცხოვრება საზოგადოებაში, მათი გათავისუფლების მომზადება უნდა დაიწყოს გათავისუფლებამდე ჯეროვნად ადრე და უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- შესაბამის საფრთხეებსა და საჭიროებებზე მორგებული, გათავისუფლებამდე და გათავისუფლების შემდგომი გეგმების საჭიროება, რომელიც ეხება;

- გათავისუფლების შესაძლებლობის ჯეროვანი განხილვა და თავისუფლების აღკვეთისას განხორციელებული ნებისმიერი პროგრამის, ინტერვენციისა თუ მკურნალობის გაგრძელება გათავისუფლების შემდეგ;

- ციხის ადმინისტრაციასა და გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობის ორგანოებს, სოციალურ და სამედიცინო სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება.

34. უვადო და გრძელვადიანი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა ეფუძნებოდეს პირობით გათავისუფლების შესახებ რეკომენდაცია (2003)22."

34-ე პარაგრაფთან მიმართებაში რეკომენდაციაზე თანდართული ანგარიში მიუთითებს (პარაგრაფი 131):

"რეკომენდაცია (2003)23 მოიცავს პრინციპებს, რომლის მიხედვითაც პირობით შესაძლოა გათავისუფლეს ნებისმიერი პატიმარი; გამონაკლისია პატიმრები, რომლებიც იხდიან უკიდურესად მოკლე საპატიმრო სასჯელებს. მოცემული პრინციპი, რეკომენდაციის პირობების დაცვით, ვრცელდება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირების მიმართაც. აღსანიშნავია, რომ რეკომენდირებულია და არა სავალდებულო უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირების პირობით გათავისუფლება, ანუ ისინი ყოველთვის არ უნდა გათავისუფლდნენ პირობითად."

3. რეკომენდაცია 2003(22)

62. რეკომენდაცია 2003(22) (პირობითი გათავისუფლების შესახებ) მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს. იგი სრულფასოვნად არის შეჯამებული საქმეში *Kafkaris* (ციტირებული ზემოთ, იხ. გადაწყვეტილების 72-ე პარაგრაფი). მოკლედ რომ შევხვთ, იგი აყალიბებს რეკომენდაციებს რომელიც ეხება პირობით გათავისუფლებისათვის მზადებას, მის მინიჭებას, მინიჭების პირობებსა და პროცედურულ გარანტიებს. ზოგად პრინციპებს შორის არის პარაგრაფები 3 და 4(ა), რომლებიც აღნიშნავენ შემდეგს:

"3. პირობითი გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს პატიმრების დახმარებას ციხის ცხოვრებიდან საზოგადოებაში, კანონმორჩილ ცხოვრებაში გადასვლაში გათავისუფლების შემდგომი პირობებისა და ზედამხედველობის დახმარებით, რომელიც ხელს უწყობს ამ მიზნის მიღწევას და ეხმარება საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებასა და მასში დანაშაულის შემცირებას.

4.ა. იმისათვის, რომ შემცირდეს პატიმრობის საზიანო შედეგები და უზრუნველყოფილ იქნას პატიმრების ხელახალი დაფუძნება იმგვარ პირობებში, რომელიც ახდენს ციხისმიდმა საზოგადოების უსაფრთხოების გარანტირებას, კანონი ნებისმიერ პატიმარს, მათ შორის უვადო თავისუფლება აღკვეთილსაც, უნდა აძლევდეს პირობითი გათავისუფლების შესაძლებლობას."

რეკომენდაციაზე თანდართული განმარტებითი მემორანდუმი მე-4 პარაგრაფთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს:

"უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებს არ უნდა ჩამოერთვათ იმედი, რომ შესაძლოა ისინიც გათავისუფლდნენ ვადაზე ადრე. პირველ რიგში, გონივრულად ვერავინ იდავებს, რომ ყველა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი ყოველთვის საშიში იქნება საზოგადოებისათვის. მეორეც, იმ პირთა პატიმრობა, რომელთაც არ გააჩნიათ გათავისუფლების იმედი, იწვევს მათი მართვის სერიოზულ პრობლემებს,

მათ შორის თანამშრომლობის ინიციატივებთან მიმართებაში და წესების დარღვევის, პირადი განვითარების პროგრამების შემუშავებასა და სასჯელის გეგმების ორგანიზებასა და უსაფრთხოებასთან მიმართებაში. ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას ვალდებულნი არიან შექმნან იმის შესაძლებლობა, რომ მოცემული სასჯელი გადახედულ იქნას წელთა გარკვეული რაოდენობის გასვლის შემდეგ, რეგულარული ინტერვალით, რათა გაირკვეს თუ რამდენად, რა პირობებითა და რა ზედამხედველობის მექანიზმებით არის შესაძლებელი დარჩენილი სასჯელის საზოგადოებაში მოხდა."

4. წამების წინააღმდეგ კომიტეტის დოკუმენტაცია "მოქმედი უვადო თავისუფლების აღკვეთის" შესახებ

63. ანგარიში "მოქმედი უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ" მომზადდა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ ("წსკ"), ბ-ნმა იორგენ ვორსაე რასმუსენმა (CPT (2007) 55, 27 ივნისი 2007), განიხილა ევროპის საბჭოს სხვადასხვა დოკუმენტაცია უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ, მათ შორის რეკომენდაციები (2003) 22 და 23 და აღნიშნა, რომ: (ა) პირობითი გათავისუფლების შესახებ მოქმედი პრინციპები ვრცელდება ნებისმიერ პატიმარზე, "მათ შორის უვადოდ თავისუფლების აღკვეთა მისჯილზე"; და (ბ) ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს დებული თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ, თუმცა "გათავისუფლების ეს სპეციალური ფორმა" განსხვავდება პირობით გათავისუფლებისაგან.

მან გამოხატა მოსაზრება, რომ პატიმრობიდან დისკრეციული გათავისუფლება, ისევე როგორც მისი შეფარდება, წარმოადგენდა სასამართლოს და არა აღმასრულებლის პრეროგატივას. სწორედ ამ მიდგომის შედეგად მოხდა დანიაში, ფინეთსა და შვედეთში უვადო თავისუფლების აღკვეთის პროცედურის გადახედვის ცვლილება. დოკუმენტი ასევე ციტირებდა "წსკ" 2007 წლის ანგარიშს უნგრეთში ვიზიტის შემდეგ, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი:

"უვადო თავისუფლება აღკვეთილ" პირებს რაც შეეხებათ, "წსკ-ს" გააჩნია სერიოზული დათქმები სწორედ იმ კონცეფციის მიმართ, რომლის მიხედვითაც ხსენებული პატიმრები, მას შემდეგ რაც მოხდება მათი მსჯავრდება, მიიჩნევიან სამუდამო საფრთხედ საზოგადოებისათვის და შესაბამისად პირობითი გათავისუფლების იმედიც კი არ აქვთ."

დოკუმენტის დასკვნის მიხედვით, პატიმართა არცერთი კატეგორია არ უნდა იყოს "დადღასმული" მთელი დარჩენილი ცხოვრების ციხეში გატარებით; გათავისუფლებაზე უარი არასდროს უნდა იყოს საბოლოო; პირობითი მსჯავრის დარღვევის შედეგად ციხეში დაბრუნებულ პატიმრებსაც კი არ უნდა ჩამოერთვათ გათავისუფლების იმედი.

5. "წსკ" ანგარიში შვეიცარიის შესახებ

64. 2011 წლის 10-20 ოქტომბერს შვეიცარიაში ვიზიტის შემდეგ "წსკ"-ის ანგარიში (25 ოქტომბერი 2012 CPT/Inf (2012) 26) მოიცავდა შემდეგ დასკვნას შვეიცარიაში უვადოდ თავისუფლების აღკვეთის სისტემის შესახებ, სადაც სექსუალური დანაშაულის ჩამდენი თუ მოძალადე დამნაშავე მიიჩნევა უკიდურესად სახიფათოდ და მისი მდგომარეობა უკუბრუნებულად არის მიჩნეული:

"წსკ"-ს გააჩნია სერიოზული შენიშვნები "უვადოდ" თავისუფლების აღკვეთის კონცეფციასთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, ის პირები, რომლებიც მიჩნეულ იქნენ უაღრესად სახიფათოდ და უკუბრუნებულად ითვლებიან, რომ სამუდამოდ წარმოადგენენ საზოგადოებისათვის საფრთხეს და შესაბამისად, ფორმალურად ჩამორთმეული აქვთ ოცნება სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმით მოხდაზე და პირობით გათავისუფლებაზეც კი. იმის გამო, რომ პირის გათავისუფლების ერთადერთი გზა არის მეცნიერული წინსვლა, მას არ აქვს საშუალება გავლენა მოახდინოს მის გათავისუფლებაზე, მაგალითად სასჯელის მოხდისას კარგი ქცევით.

ამ მხრივ "წსკ" მითითებას აკეთებს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციაზე (2006)2 ევროპის ციხის წესების შესახებ ისევე როგორც მინიტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაციაზე (2003) 22 რომელიც ეხება პირობით გათავისუფლებას, სადაც აშკარად არის მითითებული, რომ პირობითი გათავისუფლების საშუალებას უნდა ანიჭებდეს ყველა მსჯავრდებულ პატიმარს, მათ შორის მათაც, ვისაც შეფარდებული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ უკანასკნელის განმარტებითი მემორანდუმი ხაზს უსვამს, რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებს არ უნდა ჩამოერთვათ გათავისუფლების იმედი.

"წსკ" შესაბამისად მიიჩნევს, რომ არაადამიანურია პირის უვადოდ თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების იმედის გარეშე. კომიტეტი მოუწოდებს შვეიცარიის ხელისუფლებას შესაბამისად გადახედონ "უვადოდ" პატიმრობის კონცეფციას [ტექსტი გადმოცემულია ორიგინალის შესაბამისი აქცენტებით].

ბ. საერთაშორისო სისხლის სამართალი

65. საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუტის 77-ე მუხლი იძლევა უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომელიც გამართლებულია დანაშაულის უკიდურესი სიმძიმითა და მსჯავრდებული პირის ინდივიდუალური გარემოებებით. მუხლი 110(3) აღნიშნავს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ოცდახუთწლიანი საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, სასამართლომ უნდა გადახედოს სასჯელს და გადაწყვიტოს შეამციროს თუ არა. 110-ე მუხლის (4) და (5) პარაგრაფები აღნიშნავენ შემდეგს:

" 4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადასინჯვისას, სასამართლოს შეუძლია შეამციროს სასჯელის ვადა, თუ იგი დაადგენს ერთი ან მეტი ქვემოჩამოთვლილი ფაქტორის არსებობას:

(ა) ადრეულ ეტაპზე პირმა გამოხატა უცვლელი მზადყოფნა ითანამშრომლოს სასამართლოსთან გამომიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში;

(ბ) პირი ნებაყოფლობით ეხმარება სხვა შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების აღსრულებას და, კერძოდ, ეხმარება იმ აქტივების ადგილსამყოფელის დადგენაში, რომლებზეც ვრცელდება ჯარიმის, კონფისკაციის ან ანაზღაურების შესახებ დადგენილებანი და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დაზარალებულთა სასარგებლოდ; ან

(გ) პროცედურისა და მტკიცების წესებით გათვალისწინებული სხვა გარემოებანი, რომლებიც მოწმობს გარემოებათა აშკარა და არსებით შეცვლას, რაც საკმარისია სასჯელის შემცირების დასაბუთებისათვის.

5. თუ სასამართლო მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თავდაპირველი გადასინჯვის შედეგად დაადგენს, რომ არ არის გამართლებული სასჯელის ვადის შემცირება, იგი შემდგომში მოახდენს სასჯელის ვადის შემცირების საკითხის განხილვას დროის იმ შუალედებითა და იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოცემულია პროცედურისა და მტკიცებულებების წესებში."

პროცედურა და გადახედვის შემდგომი კრიტერიუმები მოცემულია პროცედურისა და მტკიცებულებების წესების 223-ე და 224-ე მუხლებში.

223-ე მუხლი:

"სასჯელის შემცირების გადახედვის კრიტერიუმები"

110-ე მუხლის მე-3 და მე-5 პარაგრაფების მიხედვით სასჯელის შემცირების საკითხის განხილვისას, სააპელაციო პალატის სამი მოსამართლე ითვალისწინებს 110-ე მუხლის 4(ა) და (ბ) პუნქტებში მოცემულ კრიტერიუმებსა და ქვემორე კრიტერიუმებს, კერძოდ:

- (ა) მსჯავრდებული პირის ქცევა პატიმრობისას აჩვენებს მის მიერ დანაშაულიდან განრიდებას;
- (ბ) მსჯავრდებული პირის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში წარმატებული დამკვიდრების პერსპექტივა;
- (გ) მსჯავრდებული პირის ნაადრევი გათავისუფლება გამოიწვევდა თუ არა მნიშვნელოვან სოციალურ არასტაბილურობას;
- (დ) მსჯავრდებული პირის მიერ მსხვერპლთა სასარგებლოდ განხორციელებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ქმედება და მსხვერპლებსა და მათ ოჯახებზე ნაადრევი გათავისუფლების გავლენა;
- (ე) მსჯავრდებული პირის ინდივიდუალური გარემოებანი, მათ შორის ფიზიკური თუ გონებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან ასაკი."

224(3) მუხლის მიხედვით, 110(5) მუხლის გამოსაყენებლად სააპელაციო პალატის სამმა მოსამართლემ უნდა განიხილოს სასჯელის შემცირების საკითხი ყოველ სამ წელში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფრო მოკლე ვადაა დაწესებული სასჯელის გადასახედად იმ გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია 110(3) მუხლის თანახმად. მუხლი 224(3) ასევე აღნიშნავს, რომ გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილებისას, მოცემულმა სამმა მოსამართლემ შესაძლოა ნება დართოს მსჯავრდებულს მოითხოვოს გადახედვა სამწლიან ვადამდეც ან იმ უფრო მცირე ვადაში, რომელსაც დაადგენს სამი მოსამართლე.

66. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ("ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალი") წესდების 27-ე მუხლი ადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფოში. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო ტრიბუნალის ზედამხედველობის ქვეშ. 28-ე მუხლი (შეწყალებისა თუ სასჯელის შემცირების შესახებ) აღნიშნავს შემდეგს:

"თუკი იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მსჯავრდებული პირი იხდის საპატიმრო სასჯელს, მას უფლება აქვს შეწყალებაზე ან სასჯელის შემცირებაზე, შესაბამისი სახელმწიფო ვალდებულია მოცემული უფლების შესახებ შეატყობინოს საერთაშორისო ტრიბუნალს. მართლმსაჯულების ინტერესებისა და სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ტრიბუნალის პრეზიდენტი, მოსამართლეებთან კონსულტაციის შედეგად, მიიღებს გადაწყვეტილებას მოცემულ საკითხზე."

"ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის" წესდების 27-ე და 28-ე მუხლების მსგავსი დებულებანი მოცემულია რუანდის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს ტრიბუნალის წესდებაში (მუხლები 26 და 27), სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს წესდებაში (მუხლები 22 და 23) და ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის წესდებაში (მუხლები 29 და 30).

გ. ევროპის კავშირის სამართალი

67. ევროპის კავშირის საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილების 5(2) მუხლი ევროპული დაკავების ორდერისა და ჩაბარების პროცედურების შესახებ წევრ სახელმწიფოთა შორის აღნიშნავს შემდეგს:

"თუკი დანაშაული, რომლის საფუძველზეც მოხდა ევროპული დაკავების ორდერის გაცემა ისჯება უვადო თავისუფლების აღკვეთით, ხსენებული დაკავების ორდერის აღსრულება შესაძლოა დაექვემდებაროს პირობას, რომელიც დადგენილია მის გამცემ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში მოქმედი დებულებებით და რომელთა მიხედვითაც გათვალისწინებულია სასჯელისა თუ დაკისრებული ზომის გადახედვა მოთხოვნის საფუძველზე ან არაუგვიანეს 20 წელი პატიმრობის შემდეგ, ან დადგენილია შეწყალების მოთხოვნა, რომლის უფლებაც პირს გააჩნია კანონის ან არსებული პრაქტიკის მიხედვით და რომელიც მიზნად ისახავს ამგვარი სასჯელის ან ზომის აღსრულებისაგან თავის შეკავებას."

დ. უვადო თავისუფლების აღკვეთა წევრ სახელმწიფოებში

68. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი შედარებით მასალების მიხედვით, წევრ სახელმწიფოებში შეინიშნება შემდეგი პრაქტიკის არსებობა.

პირველი - არსებობს ცხრა სახელმწიფო, სადაც საერთოდ არ არსებობს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ესენია: ანდორა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მონტენეგრო, ნორვეგია, პორტუგალია, სან მარინო, სერბეთი და ესპანეთი. ამ ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება

ოცდაერთიწლიდან - ნორვეგიაში - ორმოცდახუთ წლამდე - ბოსნია და ჰერცეგოვინაში. ხორვატიაში, კუმულატიური დანაშაულების შემთხვევაში, შესაძლოა ორმოცდაათწლიანი სასჯელის შეფარდება.

მეორე - იმ ქვეყანათა უმრავლესობაში, სადაც არსებობს უვადო თავისუფლების აღკვეთა, არსებობს სასჯელის გადახედვის მექანიზმი, რომელიც მოქმედებაში მოდის კანონით განსაზღვრული მინიმალური პერიოდის მოხდის შემდეგ. ამგვარი მექანიზმი, რომელიც ინტეგრირებულია სასჯელის შეფარდების განმსაზღვრელ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, გათვალისწინებულია ოცდათორმეტი სახელმწიფოს მიერ: ალბანეთი (25 წელი), სომხეთი (20), ავსტრია (15), აზერბაიჯანი (25), ბელგია (15, 19-დან 23-მდე გაგრძელებით რეციდივის შემთხვევაში), ბულგარეთი (20), კვიპროსი (12), ჩეხეთის რესპუბლიკა (20), დანია (12), ესტონეთი (30), ფინეთი (12), საფრანგეთი (ზოგადად 19, მაგრამ 30 წელი გარკვეული მკვლელობის შემთხვევაში), საქართველო (25), გერმანია (15), საბერძნეთი (20), უნგრეთი (20 თუკი სასამართლო რამე სხვას არ დაადგენს), ირლანდია (პირველადი განხილვა შეწყალების საბჭოს მიერ 7 წლის შემდეგ, გარდა გარკვეული ტიპის მკვლელობებისათვის), იტალია (26), ლატვია (25), ლიხტენშტეინი (15), ლუქსემბურგი (15), მოლდოვა (30), მონაკო (15), პოლონეთი (25), რუმინეთი (20), რუსეთი (25), სლოვაკეთი (25), სლოვენია (25), შვედეთი (10), შვეიცარია (15 წელი, შესაძლოა შემცირდეს 10-მდე), ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია (15) და თურქეთი (24 წელი, 30 დამამძიმებელი სამუდამო პატიმრობისათვის და 36 უვადო თავისუფლების აღკვეთისას სასჯელთა ერთობლიობის შემთხვევაში).

გაერთიანებულ სამეფოსთან მიმართებაში, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ შოტლანდიაში უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, მოსამართლე ვალდებულია დააწესოს მინიმალური ვადა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამ ვადამ გადააჭარბოს პირის სიცოცხლის ხანგრძლივობას: იხ. კონვენციური უფლებები (შესაბამისობა) (შოტლანდია) 2001 წლის კანონი.

მესამე, არსებობს ხუთი სახელმწიფო, რომელიც არ ადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში შეწყალებას: ისლანდია, ლიტვა, მალტა, ნიდერლანდები და უკრაინა. თუმცა, ეს სახელმწიფოები აძლევენ უვადო პატიმრებს უფლებას მოითხოვონ სამუდამო პატიმრობის შეცვლა მინისტრის, პრეზიდენტისა თუ სამეფო შეწყალების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ეს ფორმა გათვალისწინებულია ისლანდიაში, უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არასდროს მომხდარა.

მეოთხე, ინგლისსა და უელსთან ერთად არსებობს ექვსი სახელმწიფო, რომელთაც გააჩნიათ შეწყალების სისტემა, მაგრამ არ ითვალისწინებენ მას რიგი დანაშაულებისა და სასჯელების შემთხვევაში. ეს სახელმწიფოებია ბულგარეთი, უნგრეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია (სექსუალური ან ძალადობრივი დამნაშავეების შემთხვევაში, რადგან ისინი მიიჩნევიან სახიფათო და უკურნებელად: იხ. "წსკ" ანგარიში, პარაგრაფი 64, ზემოთ) და თურქეთი.

ე. გერმანია

69. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საბაზისო კანონის 1 მუხლი აღნიშნავს, რომ ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და რომ მისი პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას. მუხლი 2(2) მიუთითებს:

"ყველა პირს გააჩნია სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება. პირის თავისუფლება ხელშეუვალია. მოცემული უფლებები შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე."

"განზრახი სისასტიკით" მკვლელობისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო სასჯელის შესაბამისობა მოცემულ დებულებებთან განხილულ იქნა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ *უვადო თავისუფლების აღკვეთის საქმეში (Lebenslange Freiheitsstrafe)* 1977 წლის 21 ივნისს, BVerfGE 187.

სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ვერ გადააქცევდა დამნაშავეს დანაშაულის პრევენციის ობიექტად კონსტიტუციით დაცული მისი უფლების დარღვევის გზით. ადამიანის ღირსებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა გულისხმობს უვადო თავისუფლების აღკვეთის ადამიანურ აღსრულებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატიმარს მიეცემა "კონკრეტული და რეალურად მიღწევადი შანსი" ხელახლა მოიპოვოს თავისუფლება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ; სახელმწიფო ეხება ადამიანის ღირსებას თუკი პატიმარს ართმევს ყველანაირ იმედს იყოს ისევ თავისუფალი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რეაბილიტაცია კონსტიტუციურად სავალდებულო იყო ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელიც მის საფუძველად ადამიანის ღირსებას მიიჩნევდა. დამნაშავეს უნდა მიეცეს შანსი, დანაშაულის გამოსყიდვის შემდეგ, ხელახლა შეიქნას საზოგადოების ნაწილი. სახელმწიფო ვალდებული გახლდათ - შესაძლებლობის ფარგლებში - მიეღო ყველა საჭირო ზომა,

რათა მიეღწია მოცემული მიზანი. ციხეებს ჰქონდათ ვალდებულება შეემცირებინათ პატიმრობის ნეგატიური გავლენა და მინიმუმამდე დაეყვანათ ის გამანადგურებელი ცვლილებები ადამიანის ხასიათში, რომელსაც პატიმრობა იწვევდა.

სასამართლომ აღიარა, რომ იმ პატიმრის შემთხვევაში, რომელიც რჩებოდა საზოგადოებისათვის საფრთხის მომცველად, რეაბილიტაციის მიზანი შეიძლება ვერასდროს ყოფილიყო მიღწეული. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავის ცალკეული პირადი გარემოებანი გამორიცხავდა წარმატებულ რეაბილიტაციას და არა თავად უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული დასკვნების გათვალისწინებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა მკვლელობისათვის არ იყო არაგონივრული და არაპროპორციული სასჯელი. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გარკვეული ვადის მოხდის შემდეგ გათავისუფლებულიყვნენ, გულისხმობდა, რომ კოდექსის შესაბამისი დებულებები შესაძლოა განმარტებული და გამოყენებული ყოფილიყო საბაზისო კანონის დარღვევის გარეშე.

70. *იმის დამნაშავის საქმეში 72 BVerfGE 105 (1986)*, მომჩივანი გახლდათ ოთხმოცდაექვსი წლის მამაკაცი, რომელმაც ორმოცდაათი ადამიანის გაზის კამერაში მოთავსებისათვის მოიხადა უვადო თავისუფლების აღკვეთიდან ოცი წელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე განაპირობებდა იმას თუ რამდენად უნდა დაკისრებოდა მას უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდის ვალდებულება. თუმცა, ამ გარემოებების სამართლებრივი ბალანსისას მიჩნეულ იქნა, რომ მომეტებული აქცენტი არ უნდა გაკეთებულიყო დანაშაულის სიმძიმეზე პიროვნულობის, გონებრივი მდგომარეობისა და პირის ასაკის საპირწონედ. მოცემულ საქმეში მომჩივნის მიერ გათავისუფლების მოთხოვნის ნებისმიერი შემდგომი გადახედვა საჭიროებდა პეტიციონერის პიროვნების, ასაკისა და საპატიმრო ვადისას ქცევის უფრო მეტად გათვალისწინებას. ეს ყოველივე აქტუალური გახლდათ იმის გამო, რომ სასჯელის ნეგატიური შედეგები უფრო და უფრო ძლიერდებოდა უჩვეულოდ ხანგრძლივი პატიმრობის შედეგად.

საბაზისო კანონი პრინციპის დონეზე არ გამორიცხავს უვადო თავისუფლების აღკვეთის სრულად მოხდას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის სიმძიმე საჭიროებს იმგვარ სასჯელს, რომლის ხანგრძლივობაც

ადმატება მკვლელობისათვის მინიმალურ ზღვარს. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, საბაზისო კანონთან შეუსაბამობას არ ექნება ადგილი თუკი გათავისუფლება განიხილება მხოლოდ გონებრივი თუ ფიზიკური უძლურებისა თუ სიკვდილის მოახლოების შემთხვევებში. ამ საფუძვლით გათავისუფლება არ იქნება შესაბამისობაში ადამიანის ღირსებასთან ან ყოველი პატიმრის საჭიროებასთან ჰქონდეს კონკრეტული და რეალური შანსი ისევ მოიპოვოს თავისუფლება, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა.

71. 2010 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებაში BVerfG, 2 BvR 2299/09 ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ექსტრადირების საქმე რომელშიც დამნაშავეს თურქეთში შეფარდებული ჰქონდა "დამამძიმებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა გარდაცვალებამდე" (*erschwerter lebenslängliche Freiheitsstrafe bis zum Tod*). გერმანიის მთავრობამ მოითხოვა გარანტიები მასზედ, რომ მსჯავრდებულს მიეცემოდა გათავისუფლების მოთხოვნის უფლება და მიიღო პასუხი, რომ თურქეთის პრეზიდენტს ჰქონდა შეწყნარების უფლება ქრონიკული ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა თუ სიბერის გამო. სასამართლომ არ დაუშვა ექსტრადირება, დაადგინა რა, რომ ხსენებული უფლება იძლეოდა გათავისუფლების მხოლოდ ბუნდოვან იმედსა და ამიტომ არასაკმარისი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია სხვა სახელმწიფოთა სამართლებრივი წყობის პატივისცემა, თუკი პირს არ გააჩნდა გათავისუფლების პრაქტიკული პერსპექტივა, მაშინ სასჯელი სასტიკი და დამამცირებელი (*grausam und erniedrigend*) ხდებოდა და შესაბამისად დაარღვევდა 1 მუხლში მოცემული ადამიანური ღირსების დაცვის ვალდებულებას.

ვ. იტალია

72. იტალიის კონსტიტუციის 27(3) მუხლი აღნიშნავს, რომ სასჯელი არ შეიძლება იყოს არაადამიანური და მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის რეაბილიტაციას.

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქვს ოთხი მთავარი გადაწყვეტილება კონსტიტუციის 27(3) მუხლთან მიმართებაში.

პირველ გადაწყვეტილებაში 1974 წლის 27 ივნისს (204/1974), პატიმარმა ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა იუსტიციის მინისტრს. იუსტიციის მინისტრმა კონსულტაციები გაიარა სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოსამართლესთან, რომელმაც საქმე გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს ვადამდე გათავისუფლების შესახებ კანონის კონსტიტუციურობის შეფასების

თხოვნით, რადგან ხსენებული კანონის მიხედვით გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მინისტრი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის 27(3) მუხლის საფუძველზე რეაბილიტაცია გახლდათ ყოველი სასჯელის მიზანი და ყოველი პატიმრის უფლება. როგორც ასეთი, უნდა ხდებოდეს სასჯელის გადახედვა, რომელსაც უნდა ახორციელებდეს მოსამართლე და არა აღმასრულებელი, რათა განსაზღვროს თუ რამდენად იქნა რეაბილიტაციის მიზანი მიღწეული მოხდილი სასჯელის განმავლობაში. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისი პირობების ფარგლებში, ვადამდელი გათავისუფლება მნიშვნელოვანი გახლდათ რეაბილიტაციის მიზნის მიღწევაში. იგივე დასკვნა იქნა მიღებული სამხედრო პატიმრებთან მიმართებაშიც სასამართლოს მიერ 1976 წლის 14 ივლისს მიღებულ 192/1976 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა ორ გერმანელ სამხედრო ოფიცერს, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისათვის.

სასამართლოს მეორე გადაწყვეტილება თარიღდება 1974 წლის 7 ნოემბრით (264/1974), და მიღებულ იქნა ვერონის სასამართლოს მიერ მიმართვის შედეგად, სადაც სასამართლოს ეკითხებოდნენ თუ რამდენად უშვებდა უვადო თავისუფლების აღკვეთა პატიმრის რეაბილიტაციას და შესაბამისად, რამდენად იყო 27(3) მუხლთან შესაბამისობაში. 1974 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე მითითებით სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა ვადამდელი გათავისუფლების შესაძლებლობა (უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირებისათვისაც) და გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ იღებდა სასამართლო და არა აღმასრულებელი ხელისუფლება. მოცემული გარემოებანი კი გულისხმობდა, რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმარს ჰქონდა რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგად უვადოდ თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაში გახლდათ 27(3) მუხლთან.

მესამე გადაწყვეტილება (21 სექტემბერი 1983, no. 274/1983) ეხებოდა იტალიის კანონმდებლობაში არსებულ დებულებას, რომელიც იმ დროისათვის უშვებდა სასჯელის ოცდახუთი დღით შემცირებას ყოველ მოხდილ ექვს თვეზე, თუმცა არ ვრცელდებოდა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებზე. მოცემული დებულების არაკონსტიტუციურად მიჩნევისას სასამართლომ აღნიშნა, რომ მუხლი 27(3) ვრცელდებოდა ყველა სასჯელზე, განსხვავების გარეშე და რომ მოცემული დებულების, რომელიც უშვებდა სასჯელის შემცირებას (რაც ემსახურებოდა რეაბილიტაციას), გავრცელება უვადო თავისუფლების აღკვეთაზე დაუშვებელი იყო. გადაწყვეტილების შედეგად, უვადო თავისუფლების აღკვეთასთან

მიმართებაში დებულებანი სასჯელის შემცირებაზე გავრცელდა იმ პერიოდზე, რომელიც უნდა მოეხადა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლების მიღებამდე.

მეოთხე გადაწყვეტილება (2-4 ივნისი 1997, no. 161/1997) ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც თუკი უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმარი დაარღვევდა ვადამდელი პირობითი გათავისუფლების რომელიმე პირობას (და შესაბამისად მოხდებოდა მისი ციხეში დაბრუნება), იგი კარგავდა მომავალში ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას. რეაბილიტაციის შესახებ და რეაბილიტაციისათვის ვადამდელი გათავისუფლების მნიშვნელობის შესახებ წინარე გადაწყვეტილებების მოხმობის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 177-ე მუხლი სრულიად გამორიცხავდა პატიმრის რეაბილიტაციის შესაძლებლობას. სასამართლომ დაადგინა, რომ ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა გახლდათ ერთადერთი გზა რომლითაც უვადო თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაში მოდიოდა 27(3) მუხლთან; ამგვარი შესაძლებლობის გარეშე სასჯელი შეუსაბამო იქნებოდა 27(3) მუხლთან. შესაბამისად, მაშინ მოქმედი 177-ე მუხლი არაკონსტიტუციური გახლდათ.

ზ. სხვა იურისდიქციების სასამართლო პრაქტიკა უხეშად არაპროპორციული სასჯელებისა და უვადო თავისუფლების აღკვეთის ირგვლივ

1. "უხეშად არაპროპორციული"

73. უხეშად არაპროპორციული სასჯელის დაკისრების აკრძალვას ვხვდებით შემდეგ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა თუ სასამართლო პრაქტიკაში:

- კანადა (უფლებათა ქარტიის მე-12 მუხლი, განმარტებული საქმეებში *R v. Smith (Edward Dewey)* [1987] 1 SCR 1045; *R v. Luxton* [1990] 2 SCR 711; და *R v. Latimer* [2001] 1 SCR 3);
- ჰონგ კონგი *Kong (Lau Cheong v. Hong Kong Special Administrative Region* [2002] HKCFA 18);
- მავრიტანია (კონსტიტუციის მე-7 მუხლი, *State v. Philibert* [2007] SCJ 274);
- ნამიბია (*State v. Tcoeib* [1997] 1 LRC 90 (იხ პარაგრაფი **Error! Reference source not found.** ქვემოთ); *State v. Vries* 1997 4 LRC 1; და *State v Likuwa* [2000] 1 LRC 600)
- ახალი ზელანდია (ახალი ზელანდიის უფლებათა ბილის მე-9 მუხლი 1990);
- სამხრეთ აფრიკა (*Dodo v. the State* (CCT 1/01) [2001] ZACC 16; *Niemand v. the State* (CCT 28/00) [2001] ZACC 11); და

- ამერიკის შეერთებული შტატები (კონსტიტუციუს მე-8 შესწორება, გამართებული *inter alia*, *Graham v. Florida* 130 S. Ct. 2011, 2021 (2010)).

2. უვადო თავისუფლების აღკვეთა

74. საქმეში *State v. Tcoeb* [1997] 1 LRC 90 ნამიბიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა დისკრეციული უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრების შესაბამისობა ქვეყნის კონსტიტუციის მე-8 მუხლთან (ქვეპუნქტი (გ) რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის იდენტურია). მთავარმა მოსამართლემ მაჰომედმა, ერთხმად სასამართლოსთან ერთად, დაადგინა, რომ შესაბამისი კანონით განსაზღვრული გათავისუფლების გეგმა საკმარისი იყო, თუმცა დასძინა, რომ თუკი გათავისუფლება დამოკიდებული იყო დისკრეციული უფლების "პრეტენზიულ განხორციელებაზე" ციხისა თუ აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ გათავისუფლების იმედი იქნებოდა "ერთობ ზუნდოვანი და წინასწარ განუჭვრეტელი" პატიმრისათვის, იმისათვის, რომ მის საფუძველზე შეენარჩუნებინა მე-8 მუხლით განსაზღვრული ღირსება.

მთავარმა მოსამართლემ ასევე აღნიშნა:

"ბრძანება, რომელიც მიზანმიმართულად ამყოფებს პატიმარს ციხეში მთელი ცხოვრების მანძილზე... ვერ იქნება გამართებული თუკი იგი უტოლდება სასჯელს, რომელიც სამუდამოდ უზურავს საპატიმროს კარს დამნაშავეს და არ უტოვებს მას კანონის ფარგლებში არანაირ საშუალებას თავი დააღწიოს ხსენებულ მდგომარეობას მისი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე, მიუხედავად ნებისმიერი შემდგომ წარმოშობილი გარემოებისა. ამგვარი გარემოებანი შესაძლოა მოიცავდეს დამნაშავეს ხასიათის სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განმეორებით შეფასებას, რადგან ამ უკანასკნელის შედეგად შესაძლოა გაბათლდეს შიში მასზედ, რომ პატიმრის გათავისუფლებამ რამდენიმე წლის შემდეგ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სხვათა უსაფრთხოებას ან შექმნას საფუძველი მიჩნეულ იქნას, რომ დამნაშავემ მიაღწია ისეთ ასაკს ან შეიქნა ავადმყოფი ან იმდენად წუხს საკუთარი წარსულის შესახებ, რომ მისი განგრძობითი პატიმრობა სახელმწიფოს ხარჯზე წარმოადგენს სისასტიკეს, რომელიც ვერ იქნება გამართებული საზოგადოებრივი ინტერესით."

მთავარმა მოსამართლემ დასძინა, რომ "ურთიერთ გამაძლიერებელი სასოწარკვეთის" მდგომარეობა შეუსაბამო გახლდათ ნამიბიის კონსტიტუციასთან, რომელიც საზოგადოებისაგან ითხოვდა პატიმრების რეფორმირებასა და რეაბილიტაციას პატიმრობის დროს.

75. საქმეში *de Boucherville v. the State of Mauritius* [2008] UKPC 70 აპელანტს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. მავრიტანიაში სიკვდილის დასჯის გაუქმების შემდეგ მისი სასჯელი შეიცვალა უვადო თავისუფლების აღკვეთით. პრივის საბჭოს იურიდიულმა კომიტეტმა განიხილა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოთციტირებულ *Kafkaris* საქმეში და დაადგინა, რომ კვიპროსში არსებული გარანტიები, რომელიც აძლევდა კაფკარის გათავისუფლების იმედს, არ არსებობდა მავრიტანიაში. მავრიტანიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა დე ბუშერვილის მიმართ სამუდამო პატიმრობის მისჯა, სასჯელისა რომელზეც არ ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი დებულებანი ვადამდელი გათავისუფლებისა თუ სასჯელის შემცირების შესახებ. პრივის საბჭოს აზრით ეს ყოველივე გულისხმობდა სასჯელის აშკარად არაპროპორციულობასა და თვითნებურობას და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა მავრიტანიის კონსტიტუციას (დებულებანი კანონით დაცულობის, მათ შორის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შესახებ).

აპელანტი ასევე აცხადებდა, რომ სასჯელის სავალდებულობა არღევდა კონსტიტუციის მე-7 მუხლს (წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი სასჯელისა თუ სხვა მსგავსი მოპყრობის აკრძალვა). მე-10 პარაგრაფში გაკეთებული დასკვნის მიხედვით პრივის საბჭომ საჭიროდ არ მიიჩნია განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება გათავისუფლების შესაძლებლობა 75-ე მუხლის მიხედვით (პრეზიდენტის უფლება შეწყალებაზე). თუმცა, საბჭომ დაადგინა, რომ კვიპროსში არსებული გარანტიები (გენერალური პროკურორის უფლებამოსილება გასცეს გათავისუფლებაზე რეკომენდაცია და პრეზიდენტის უფლება შეამციროს სასჯელი ან ბრძანოს გათავისუფლება) არ არსებობდა მავრიტანიაში. პრივის საბჭომ ასევე განიხილა სიკვდილით დასჯის სავალდებულო სასჯელსა და უვადო თავისუფლების აღკვეთას შორის განსხვავებათა სიჭარბე და ამ კუთხით მოახდინა ლორდ ბინჰემის ციტირება საქმეში *Lichniak* და ლორდ ლოსი საქმეში *Wellington* (იხ. პარაგრაფები 45 და 54 ზემოთ).

IV. პატიმართა რეაბილიტაციის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები

76. ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები საპატიმრო სასჯელის მიზნების შესახებ, განსაკუთრებით პატიმრობის შედეგად რეაბილიტაციის მნიშვნელობა, განხილულ იქნა საქმეში *Dickson v. the United Kingdom* ([GC], no. 44362/04, §§ 28-36, ECHR 2007-V). მოცემული საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ.

ა. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

77. (2003)22 და (2003)23 რეკომენდაციებთან ერთად, რომელიც ეხება რეაბილიტაციასა და პატიმართა გათავისუფლებისათვის თანმიმდევრულ მომზადებას, ევროპის საბჭოს მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახლავთ 2006 წლის ციხის ევროპული წესები.

წესების ერთ-ერთი საბაზისო პრინციპი მოცემულია მე-6 წესში და აღნიშნავს, რომ:

"პატიმრობის მართვა ისე უნდა მოხდეს, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლება აღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში."

102.1 წესის მიხედვით მისჯილი პატირებისათვის რეჟიმი ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ შესაძლებლობა მიეცეთ პასუხისმგებლობა აიღონ დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრებაზე. 2006 წლის წესების კომენტარი (მომზადებული დანაშაულის პრობლემების ევროპული კომიტეტის მიერ) აღნიშნავს, რომ 102-ე წესი შეესაბამება მთავარ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, მათ შორის საერთაშორისო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 10(3) მუხლს (იხ. პარაგრაფი 80 ქვემოთ).

103-ე მუხლი ეხება მისჯილი პატიმრების რეჟიმის იმპლემენტაციას და აღნიშნავს:

"103.2 ამგვარი ნებართვის მიღებისთანავე (რეჟიმის აღსრულების დაწყების შესახებ) უნდა შემუშავდეს ანგარიში თითოეული პატიმრისათვის მათი პიროვნული მდგომარეობის შესახებ, შემოთავაზებულ უნდა იქნას პერსონალური გეგმა ყოველი მათგანის სასჯელის მოხდის შესახებ, და აგრეთვე უნდა შემუშავდეს სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და მათი საზოგადოებაში დაბრუნების შესახებ.

...

103.4 ასეთი გეგმა, პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობის მიხედვით, უნდა მოიცავდეს:

ა. სამუშაოს;

ბ. განათლებას;

გ. სხვა აქტივობებს; და

დ. გათავისუფლებისათვის მომზადებას.

...

103.8 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისათვის."

107-ე წესი (მისჯილი პატიმრების გათავისუფლების შესახებ) *inter alia* აღნიშნავს, რომ იმ პატიმართა შემთხვევაში, რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომლებიც თანდათანობით მოახდენენ მათ დაბრუნებას თავისუფალ საზოგადოებაში (წესი 107.2); და რომ ციხის ადმინისტრაციამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოებსა და ორგანოებთან, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან გათავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში (წესი 107.4).

ბ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმუმ წესები

78. გაერთიანებული ერების პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები მოიცავს შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს მისჯილ პატიმრებთან მიმართებაში:

"58. ციხეში მოთავსების, ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმით სასჯელის დანიშვნის მიზანი და გამართლება, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა და დაზღვევა სახიფათო დანაშაულებისაგან. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სასჯელის მოხდისა და საზოგადოებაში ცხოვრების ნორმალურ წესთან დაბრუნების შემდეგ სამართალდამრღვევი არა მხოლოდ მზად არის, არამედ უნარიც შესწევს დაემორჩილოს კანონმდებლობას და უზრუნველყოს საკუთარი არსებობა.

59. ამისათვის დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სახის გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი, მორალური და სულიერი ძალები, დახმარების ის ფორმები, რომელიც შესაფერად მიაჩნია და გამოიყენოს თითოეული პატიმრის გამოსწორების საჭიროების მიხედვით.

60. (1) საპატიმრო დაწესებულებაში დადგენილმა რეჟიმმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ის განსხვავება თავისუფალ და პატიმრობის პირობებში ცხოვრებას შორის, რომელიც თრგუნავს პატიმარში პასუხისმგებლობის გრძნობასა და ადამიანის ღირსებას.

(2) სასურველია, რომ სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის თანდათანობით დაბრუნებისათვის საზოგადოებაში. ამ

მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რეჟიმის შემუშავების გზით თვით ციხეში ან რეომლიმე სხვა დაწესებულებაში. ასევე, პატიმრის გათავისუფლება საცდელი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ზედამხედველობის ქვეშ მოთავსება იმ პირობით, რომ ხსენებულ ზედამხედველობას არ განახორციელებს პოლიცია და შერწყმული იქნება ეფექტიან სოციალურ დახმარებასთან.

61. პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებაში ინტეგრირების მცდელობას. თემის განვითარების სააგენტოებმა უნდა გამოთქვან სურვილი და შესაძლებლობა დაეხმარონ დაწესებულების თანამშრომლებს პატიმრთა სოციალურ რეაბილიტაციაში. ყოველ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ურთიერთობები სხვადასხვა სააგენტოებთან, მუშაკებთან რათა უზრუნველყონ პატიმართა ახლო კავშირი ოჯახის წევრებთან. გარკვეული ქმედებები უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას სამოქალაქო, სოციალური დაცვისა და პატიმართა სხვა სოციალური ინტერესები.

მოპყრობა

65. თავისუფლება აღკვეთილ თუ სხვა მსგავს სასჯელს დაქვემდებარებულ პირთა მოპყრობა მიზნად უნდა ისახავდეს, იმდენად რამდენადაც ამის საშუალებას სასჯელის ხანგრძლივობა იძლევა, გათავისუფლების შემდეგ მათში კანონმორჩილებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების სურვილსა და შესაძლებლობას. მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს საკუთარი თავის პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

66. (1) ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ყველა შესაბამისი საშუალება, მათ შორის რელიგიური ზრუნვა იმ ქვეყნებში სადაც ეს შესაძლებელია, განათლება, ტრენინგები, სოციალური საქმიანობა, დასაქმების კონსულტაციები, ფიზიკური განვითარება, მორალური ხასიათის განვითარება ყოველი პატიმრის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა ითვალისწინებდეს პატიმრის სოციალურ და დანაშაულებრივ წარსულს, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებსა და დამოკიდებულებებს, ხასიათს, სასჯელის ხანგრძლივობას და გათავისუფლების პერსპექტივებს."

79. რეაბილიტაციაზე მითითებანი მოცემულია 24-ე და 62-ე წესებში (სადაც საუბარია ფიზიკური თუ გონებრივი იმ ნაკლოვანებების დადგენასა და მკურნალობაზე, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს რეაბილიტაციას), 63-ე წესში (ღია ტიპის დაწესებულებანი), 64-ე წესში (გათავისუფლების შემდგომი დახმარება),

67-ე წესში (კლასიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია), 75(2) წესში (მუშაობა) და 80-ე წესში (ციხის გარეთ ურთიერთობანი).

გ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

80. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი აღნიშნავს:

" 1. ყველა თავისუფლება აღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.

...

3. პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი სამართალდარღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს."

81. მე-10 მუხლის ზოგად კომენტარში N.21 (1992) ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, *inter alia*, აღნიშნა, რომ პენიტენციურ სისტემა არ უნდა იყოს მხოლოდ სადამსჯელო; იგი მიზნად უნდა ისახავდეს პატიმრის გამოსწორებასა და სოციალურ რეაბილიტაციას (იხ. კომენტარის მე-10 პარაგრაფი).

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

82. დიდი პალატის წინაშე მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათდამი შეფარდებული უვადო თავისუფლების აღკვეთა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის მიხედვითაც:

"არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ სასჯელსა თუ მოპყრობას".

ა. პალატის დასკვნები

83. პალატის წინაშე მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების მიხედვით უხეშად არაპროპორციული სასჯელი წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას და

არღვევდა მე-3 მუხლს. პალატამ გაიზიარა მოცემული მოსაზრება (დაასკვნა რა, რომ იგი ფართოდ აღიარებული გახლდათ და გამოიყენა ტესტი თუ როდის წარმოადგენს მოპყრობა არაადამიანურს ან დამამცირებელს) და ხაზი გაუსვა, რომ მოცემული ტესტის დაკმაყოფილება "იშვიათ და უნიკალურ შემთხვევებში" ხდებოდა (გადაწყვეტილების 88-ე და 89-ე პარაგრაფები).

84. პალატამ შემდეგ აღნიშნა, რომ იმისათვის რომ სასჯელი არ იყოს აშკარად არაპროპორციული, აუცილებელია განვსხვავოთ სამი ტიპის უვადო თავისუფლების აღკვეთა (გადაწყვეტილების 90-ე პარაგრაფი):

(ა) უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც იძლევა გათავისუფლების საშუალებას მინიმალური ვადის მოხდის შემდეგ;

(ბ) უვადო თავისუფლების აღკვეთის დისკრეციული სასჯელი ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე (ანუ სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და რომელიც საჭიროებს სასამართლოს გადაწყვეტილებას მანამდე სანამ მოხდება მისი შეფარდება); და

(გ) უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო სასჯელი ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე (ანუ სასჯელი, რომელიც კანონით გათვალისწინებულია გარკვეული დანაშაულისათვის და რომელიც მოსამართლეს არ ანიჭებს არჩევანის უფლებას გამოიყენოს თუ არა იგი).

85. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ტიპის სასჯელი აშკარად შემცირებადი იყო და შესაბამისად, მისი შეუსაბამობა მე-3 მუხლთან არარელევანტური იყო (გადაწყვეტილების 91-ე პარაგრაფი).

86. სასჯელის მეორე ტიპთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა შემდეგი:

" ჩვეულებრივ ამგვარი სასჯელის შეფარდება ხდება უკიდურესად მძიმე დანაშაულისათვის, მათ შორის განზრახი ან გაუფრთხილებელი მკვლელობა. ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში ამგვარი დანაშაულები, თუკი არ ისჯება უვადო თავისუფლების აღკვეთით, როგორც წესი პატიმრობას მაინც მოიცავს, შეიძლება ათწლეულების განმავლობაში კი. შესაბამისად, ნებისმიერი მოპასუხე, რომელიც მსჯავრდებულია ამგვარი დანაშაულის ჩადენისთვის უნდა ელოდოს მრავალწლიან პატიმრობას მანამდე, სანამ რეალურად გაუჩნდება გათავისუფლების იმედი, მიუხედავად იმისა სასჯელი უვადოა თუ განსაზღვრულ ვადიანი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თუკი სასამართლო, ყველა შესაბამისი შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოების განხილვის შემდეგ, პირს

შეუფარდებს დისკრეციულ უვადო თავისუფლების აღკვეთას, სასჯელის დაკისრებისას არ მოდის მოქმედებაში მე-3 მუხლი."

87. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, პალატამ დაადგინა, რომ მე-3 მუხლით საკითხი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუკი დასტურდება, რომ: (ა) მომჩივნის განგრძობითი პატიმრობა აღარ არის გამართლებული კანონიერი სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძვლებით; და (ბ) მოცემული სასჯელი *de facto* შეუმცირებელია (იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფი 92).

88. მესამე ტიპის სასჯელის შემთხვევაში-უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო სასჯელი ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე- პალატამ დაასკვნა, რომ მართალია საკითხი საჭიროებდა უფრო მეტი გულმოდგინებით განხილვას მასზედ ხომ არ იყო სასჯელი უხეშად არაპროპორციული, ხომ არ იყო კონვენციასთან შეუსაბამო და მე-3 მუხლით საკითხი წარმოიშვება მხოლოდ იმ გარემოებებში, როგორც დისკრეციული უვადო პატიმრობის შემთხვევაში, ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე.

89. მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით პალატამ დაადგინა, რომ მომჩივანთათვის დაკისრებული სასჯელები, რეალურად, წარმოადგენდა დისკრეციულ უვადო თავისუფლების აღკვეთას ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე.

90. პალატამ შემდეგ დასძინა, რომ სახელმწიფო მდივნის პოლიტიკა თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ბევრად უფრო ვიწრო იყო ვიდრე კვიპროსის ვადამდელი გათავისუფლების პოლიტიკა, განხილული ზემოთცხიტირებულ *Kafkaris* საქმეში. პირველი, იგი უშვებდა პატიმრის ციხეში დარჩენას იმ შემთხვევაშიც კი თუკი მისი განგრძობადი პატიმრობა აღარ იყო გამართლებული კანონიერ სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძვლებით, მანამდე, სანამ იგი არ გახდებოდა სასიკვდილოდ ავად ან ფიზიკურად შეზღუდულუნარიანი. მეორე, პალატამ აღნიშნა, რომ წინათ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინგლისსა და უელსში, უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვის საჭიროება დგებოდა პატიმრის მიერ ოცხადუთწლიანი პატიმრობის მოხდის შემდეგ. ახლანდელ კანონმდებლობაში - 2003 წლის აქტში- მსგავსი დებულების არარსებობის მიზეზი არავის განუმარტავს. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუტი ადგენდა სასამართლოს მიერ უვადოდ თავისუფლების აღკვეთის გადახედვის მსგავს სისტემას. მესამე, პალატას ეჭვი ეპარებოდა, რომ თანაგრძნობის

საფუძველზე გათავისუფლება შესაძლოა განხილულიყო გათავისუფლებად, თუკი ამ უკანასკნელის გამოყენება ხდებოდა იმისათვის, რომ პატიმარი სახლში ან საავადმყოფოში გარდაცვლილიყო და არა ციხეში.

91. გადაწყვეტილების 92-ე მუხლში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გამოყენების შედეგად პალატამ დაადგინა, რომ მე-3 მუხლით საკითხი ჯერ არ წარმოშობილა მომჩივნების შემთხვევაში, რადგან არ იკვეთება, რომ მათ განგრძობად პატიმრობას არ ჰქონდეს კანონიერი სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური მიზეზი. პირველი მომჩივანი სასჯელს იხდის მხოლოდ მესამე წელია (იხ. პარაგრაფი 95). მართალია მეორე და მესამე მომჩივნებმა მოიხადეს საპატიმრო სასჯელის ოცდაექვსი და თექვსმეტი წელი, მაგრამ 2008 წელს, უმაღლესი სასამართლოსადმი მიმართვისას მათ ისევ შეეფარდათ უვადო პატიმრობა. უმაღლესმა სასამართლოს არ ჩაუთვლია, რომ მომჩივანთა განგრძობით პატიმრობა აღარ ემსახურებოდა სისხლისსამართლებრივ-ლოგიკურ მიზანს; პირუკუ, ყოველ საქმეზე უმაღლესმა სასამართომ მიიჩნია, რომ დასჯისა და პრევენციის მიზანი მიღწეულ იქნებოდა მხოლოდ უვადო თავისუფლების აღკვეთით (ibid).

ბ. მხარეთა არგუმენტები

1. მთავრობა

92. მთავრობამ აღნიშნა, რომ პალატამ მართებულად განასხვავა უვადო სასჯელის სამი ტიპი. უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადამდელი გათავისუფლების გარეშე და არც მისი მოხდა არ ეწინააღმდეგებოდა მე-3 მუხლს. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის არ არსებობდა კონსესუსი უვადო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით, რაც იკვეთება კიდევაც არასავალდებულო ფორმულირებით, მაგალითად, ევროპის საბჭოს დაკავების ორდერის ჩარჩო გადაწყვეტილების 5(2) მუხლში (იხ. ზემოთ პარაგრაფი 67). ინგლისისა და უელსის სადამსჯელო პოლიტიკა ხანგრძლივი და კარგად დამკვიდრებულია. იგი ასახავს როგორც ეროვნული სასამართლოების ისე პარლამენტის ხედვას, რომ არსებობს დანაშაულები, რომელთა სიმძიმეც დასასჯელად იმსახურებს მხოლოდ უვადო პატიმრობას.

93. პალატამ ასევე მართებულად აღნიშნა, რომ დისკრეციული უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე (ანუ, ინგლისსა და უელსში არსებული სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა) შეფარდებისას არ იწვევდა მე-3 მუხლის დარღვევას. მართლაც, მთავრობის მიხედვით მოცემული თემა არც არასდროს წარმოშობილა. ამიტომ, კონვენცია არ

საჭიროებს უვადო თავისუფლების აღკვეთის მექანიზმის გადახედვას. გადახედვის სისტემა გამოიწვევდა მხოლოდ გათავისუფლების სუსტ იმედს. მოცემული იმედის სისუსტე გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული იყო იმ დამნაშავეს დასასჯელად, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე უცვლელი რჩებოდა დროის დინების მიუხედავად. მე-3 მუხლი არ ითხოვს ამგვარი სუსტი იმედის მიცემის პროცედურის დადგენას. არამედ, ითხოვს პატიმრის კონვენციური უფლებების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ განგრძობადი პატიმრობა ჩაითვლება მე-3 მუხლთან შეუსაბამოდ. მომჩივნების შემთხვევებში ამგვარი საკითხი არც წარმოშობილა და შესაძლოა არც არასდროს წარმოიშვას.

94. *Bieber* საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობითა და სახელმწიფო მდივნის მიერ პირის გათავისუფლების უფლებამოსილების საფუძველზე, რომელიც მოცემულია 1997 წლის აქტის 30-ე მუხლში (იხ. პარაგრაფები 47 და 42 ზემოთ), მთავრობამ აღნიშნა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არ იყო შეუმცირებელი სამუდამო სასჯელი. სახელმწიფო მდივნის უფლებამოსილება ფართო და ამოუწურავად გაწერილი გახლდათ. მისი განხორციელებისას, მას მოეთხოვებოდა კონვენციის შესაბამად მოქმედება. შედეგად, თუკი მომჩივნები ოდესმე განაცხადებენ, რომ მათი განგრძობადი პატიმრობა გაუმართლებელი შეიქნა სისხლისსამართლებრივ-ლოგიკურ საფუძველზე, და თუკი აღნიშნული დადასტურდება, 30-ე მუხლი მათ მისცემს გათავისუფლების უფლებას. სახელმწიფო მდივნის მიერ მიღებული ნებისმიერი საწინააღმდეგ გადაწყვეტილება ექვემდებარება სამართლებრივ განხილვას.

95. პალატის დასკვნის პასუხად, სადაც საუბარი იყო მოქმედ კანონმდებლობაში, 2003 წლის აქტი, ოცდახუთი წლის შემდეგ უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვის არარსებობის შესახებ, მთავრობამ აღნიშნა, რომ აქტის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ დასჯისა და პრევენციის მიზნით პატიმრობის სათანადო ვადების გადაწყვეტილებების გასასამართლოება. 2003 წლის აქტის 21-ე დანართი ეხება დეტალურ და ფართო სახელმძღვანელო პრინციპებს უვადო თავისუფლების აღკვეთისას პატიმრობის მინიმალური ვადების დადგენას. . მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ სამივე მომჩივნის საქმეში, მათი უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი დაკისრებული იყო დამოუკიდებელი მოსამართლეების მიერ, რომლებმაც გაითვალისწინეთ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე და ყველა შესაბამისი შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებანი. მოცემული გადაწყვეტილებანი განხილულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერაც.

96. აქედან და გადაწყვეტილებაში მოცემული მიზეზებიდან გამომდინარე, მთავრობა აცხადებს, რომ არცერთ მომჩივანთან მიმართებაში ადგილი არ აქვს მე-3 მუხლის დარღვევას.

2. მომჩივნები

97. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მათ შემთხვევაში. მიუხედავად მთავრობის არგუმენტებისა, მათი სასჯელები შეუმცირებელი გახლდათ: არცერთი უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი ვადამდე არ გათავისუფლებულა არც 1997 წლის 30-ე მუხლის და არც სხვა უფლებამოსილების საფუძველზე.

98. მომჩივნები თანხმდებოდნენ, რომ პალატამ მართებულად განასხვავა სასჯელის სამი ტიპი. თუმცა მან შეცდომით დაასკვნა, რომ მე-3 მუხლი არ წარმოიშვებოდა მანამდე, სანამ არსებობდა განგრძობადი პატიმრობის გამამართლებელი სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძველი. მოცემული მიდგომა წუნდებული გახლდათ, რადგან არ ეხებოდა ორ საკითხს: (1) მე-3 მუხლის არსობრივი საკითხი - მომჩივნების უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოდგენდა *ab initio* არასათანადო მოპყრობას; და (2) გადახედვის პროცედურული მოთხოვნა უნდა იყოს სრული უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ნაწილი, რათა თავიდან იქნას აცილებული მე-3 მუხლის დარღვევა.

99. პირველ საკითხზე მომჩივნები იზიარებენ, რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილმა პატიმარმა შესაძლებელია მთელი ცხოვრება გაატაროს პატიმრობაში იმის გამო, რომ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საფრთხეს და რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს მე-3 მუხლის დარღვევას. თუმცა, სრული უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის დაკისრებაც ხდება მხოლოდ დასჯის მიზნით სრულიად ანადგურებს ადამიანის ღირსებას, მის ადამიანურ სულს და უფულებელყოფს მომავალში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას. პატიმრობა, პალატის მიხედვით, ემსახურება დასჯას, პრევენციას, საზოგადოების დაცვასა და რეაბილიტაციას. თუმცა, ყოველი ამ გარემოების ხვედრითი წილი შესაძლოა შეიცვალოს დროთა განმავლობაში. გადახედვას არ დაქვემდებარებული სრული თავისუფლების სამუდამო აღკვეთა გულისხმობს, რომ პატიმარი ციხეში იქნება სიკვდილამდე მიუხედავად იმისა, თუ რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი მის გარემოებებში სასჯელის მოხდის განმავლობაში.

ამასთანავე, სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ, უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ერთადერთ სასჯელს რომელიც სამუდამოდ განაცალკევებს

პატიმარს საზოგადოებისაგან და ეწინააღმდეგება რეინტეგრაციის პრინციპს, რომელიც ევროპულ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ევროპის საბჭოს არც ერთი დოკუმენტი არ იწონებს სრულ უვადო თავისუფლების აღკვეთას, და რიგი ორგანოებისა, მათ შორის "წსკ" მიიჩნევს რომ ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე უვადო პატიმრობა არაადამიანურია (იხ. შვეიცარიაზე ანგარიშის სამუშაო ვარიანტის ტექსტი, ზემორე პარაგრაფები 63 და 64). აღნიშნულ მიდგომას მხარს უჭერს ევროპული კონსესუსი ამგვარი სასჯელების დაკისრების წინააღმდეგ, იტალიისა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოთა მოსაზრებანი და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი (იხ. შედარებითი სამართლის მიმოხილვა ზემორე პარაგრაფებში 68-75). ასევე საინტერესოა, რომ შოტლანდიაში სრული სამუდამო პატიმრობა შეუძლებელია და რომ შოტლანდიის პარლამენტის კანონი, რომელიც ავალდებულებს მოსამართლეებს ყოველ საქმეში განსაზღვრონ მინიმალური მოსახდელი ვადა, უზრუნველყოფს შოტლანდიის კანონმდებლობის შესაბამისობას კონვენციასთან (იხ. აგრეთვე პარაგრაფი 68 ზემოთ).

100. მეორე საკითხზე, სრული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადახედვის პროცედურული მოთხოვნის შესახებ, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა პრინციპული მიზეზი თუ რატომ არ გაითვალისწინა ოცდახუთი წლის შემდეგ სავალდებულო გადახედვის ვალდებულება 2003 წლის აქტში. მთავრობამ ამ საკითხზე არგუმენტები ვერც სასამართლოს წინაშე წარმოადგინა და ვერც მაშინ როდესაც მოხდა საკანონმდებლო ცვლილების შემოთავაზება, როდესაც განიხილებოდა გადახედვა, მაგრამ ვერ გავიდა ლორდთა პალატაში 2012 წლის მარტში. ოცდახუთი წლის შემდეგ სასჯელის გადახედვის მხარდამჭერად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი ადგენს მსგავს წესს, და ეს უკანასკნელი ხელმოწერილია 121 სახელმწიფოს მიერ ეხება რა ისეთ უკიდურესად მძიმე დანაშაულებს, როგორიცაა გენოციდი. სწორედ ამდენად მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც კი საჭიროდ იქნა მიჩნეული გადახედვა.

101. დაბოლოს იმის მტკიცებისას, რომ მომჩივნებისათვის შეფარდებული სასჯელები წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას, პირველი და მეორე მომჩივანი დაეფუძნენ კლინიკური ფსიქოლოგების მიერ წარმოდგენილ ორი სპეციალურ ანგარიშს, სადაც აღწერილი იყო დეპრესია და ის უსასოზა, რომელშიც გახლდნენ

მომჩივნები, ისევე როგორც მათი პიროვნების გაუარესებულ მდგომარეობას რაც გამოწვეული გახლდათ სასჯელით.

გ. დიდი პალატის შეფასება

1. "აშკარად არაპროპორციული"

102. პალატამ მიიჩნია, რომ აშკარად არაპროპორციული სასჯელი წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მხარეებმა გაიზიარეს მოცემული ხედვა პალატის წინაშე და ისევ იზიარებენ დიდი პალატის წინაშე საქმის განხილვის დროისათვისაც. დიდი პალატა ეთანხმება და იზიარებს პალატის დასკვნას. იგი ასევე ეთანხმება პალატას მასზედ, რომ იგი მხოლოდ იშვიათ და უნიკალურ შემთხვევებში დგინდება (იხ. პარაგრაფი 83 ზემოთ და პალატის გადაწყვეტილების 88-ე და 89-ე პარაგრაფები).

2. უვადო თავისუფლების აღკვეთა

103. მომჩივნებს არ უდავიათ, რომ მათდამი დაკისრებული უვადო თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციული სასჯელი გახლდათ. შესაბამისად, მსგავსად პალატისა, საჭიროა იმის გარკვევა თუ რამდენად წარმოადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას სხვა საფუძველზე. შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ზოგადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

104. სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, როგორც ასეთი ხვდება სასამართლოს მიერ, ევროპულ დონეზე ზედამხედველობის სფეროს მიღმა, იმ პირობით რომ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს (იხ. *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 99).

105. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ საქმეში *R v. Oakes* (იხ. პარაგრაფი **Error! Reference source not found.** ზემოთ), დაადგინა, რომ სამართლიან და პროპორციულ სასჯელთან დაკავშირებული საკითხები განეკუთვნება რაციონალური დებატებისა და ცივილიზებული უთანხმოების სფეროს. შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ შეფასების ზღვარი იმის დადგენისას თუ რა სასჯელი შეუფარდონ ამა თუ იმ დანაშაულს. როგორც სასამართლომ აღნიშნა, მისი როლი არ გახლავთ იმის დადგენა თუ რამდენი წელი უნდა იქნას შეფარდებული კონკრეტული დანაშაულისათვის ან განსაზღვროს თუ რამდენწლიანი სასჯელი

უნდა იქნეს დადგენილი ან მიუთითოს სხვა სასჯელზე, რომელიც უნდა მოიხადოს პირმა კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ (იხ. *T. v. the United Kingdom* [GC], no. 24724/94, § 117, 16 დეკემბერი 1999; *V. v. the United Kingdom* [GC], no. 24888/94, § 118, ECHR 1999-IX; და *Sawoniuk v. the United Kingdom* (dec.), no. 63716/00, ECHR 2001-VI).

106. იგივე მიზეზებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავისუფალნი არიან დააკისრონ უვადო თავისუფლების აღკვეთა ზრდასრულ დამნაშავეებს ისეთი სერიოზული დანაშაულებისათვის, როგორიცაა, მაგალითად განზრახ მკვლელობა: ზრდასრულ დამნაშავეზე მსგავსი სასჯელის დაკისრება თავისთავად არ იკრძალება და არც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლსა თუ სხვა მუხლებს (იხ. *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 97). განსაკუთრებით ეს საკითხი აქტუალურია მაშნ, როდესაც სასჯელი არ არის სავალდებულო ხასიათის და მისი შეფარდება ხდება დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი განიხილავს საქმეში არსებული ყველა შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებებს.

107. თუმცა, სასამართლომ *Kafkaris* საქმეში ასევე დაადგინა, რომ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთამ ზრდასრული დამნაშავისათვის შესაძლოა მოქმედებაში მოიყვანოს მე-3 მუხლი (ibid). ამ პრინციპს გააჩნია ორი ცალკეული, თუმცა ურთიერთდაკავშირებული ასპექტი, რომლის ხაზგასმაცა და კიდევ ერთხელ დადასტურებაც სურს სასამართლოს.

108. პირველი- უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუმცირებელი ხდება იმ მარტივი ფაქტით, რომ პრაქტიკაში პირს შესაძლოა მოეთხოვოს მისი სრულად მოხდა. მე-3 მუხლით საკითხი არ წარმოიშვება თუკი უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი არის *de jure* ან *de facto* შემცირებადი (იხ. *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 98).

ამ მხრივ, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მე-3 მუხლით საკითხი არ წარმოიშვება თუკი, მაგალითად, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს ეროვნული კანონმდებლობით ენიჭება უფლება განხილულ იქნას მისი ვადამდელი გათავისუფლების საქმე და განხილვისას მიიღო უარი იმის გამო, რომ იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის. ეს იმის გამო, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება კონვენციის მიხედვით მიიღონ ზომები საზოგადოების ძალადობრივი დანაშაულისაგან დასაცავად და კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს სერიოზული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს შეუფარდონ უვადო თავისუფლების აღკვეთა რითიც უზრუნველყოფილი იქნება

დამნაშვის განგრძობითი დაკავება, რადგან ეს უკანასკნელი საჭირო გახლავთ საზოგადოებისათვის (იხ. *mutatis mutandis*, *T. v. the United Kingdom*, § 97, და *V. v. the United Kingdom*, § 98, ორივე ციტირებული ზემოთ). მართლაც, დამნაშვის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ "უმთავრეს ფუნქციას" (იხ. *Mastromatteo v. Italy* [GC], no. 37703/97, § 72, ECHR 2002-VIII; *Maiorano and Others v. Italy*, no. 28634/06, § 108, 15 დეკემბერი 2009; და, *mutatis mutandis*, *Choreftakis and Choreftaki v. Greece*, no. 46846/08, § 45, 17 იანვარი 2012). მოცემული დებულება კიდევ უფრო აქტუალურია როდესაც საუბარი გვაქვს განზრახ მკვლელობისა თუ სხვა სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პატიმარმა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდი გაატაროს პატიმრობაში არ ასუსტებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვას საზოგადოება; სახელმწიფოებმა შესაძლოა შეასრულონ მოცემული ვალდებულება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების განგრძობადი პატიმრობით მანამდე, სანამ ისინი სახიფათო არიან (იხ. მაგალითად, *Maiorano and Others*, ციტირებული ზემოთ).

109. მეორე- იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არის მოცემულ საქმეში უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუმცირებელი, სასამართლომ უნდა გაარკვიოს აქვს თუ არა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს გათავისუფლების რაიმე პერსპექტივა. მაგალითად, ხომ არ უშვებს ეროვნული კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის გადახედვას შეწყალების, რემისიის, გათავისუფლებისა თუ პირობითად ვადამდე გათავისუფლებით, თუკი პასუხი დადებითია, მაშინ მე-3 მუხლით დადგენილი ვალდებულებანი დაკმაყოფილებულად მიიჩნევა (იხ. *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 98).

110. არსებობს რიგი გარემოებებისა რომლის შემთხვევაშიც უვადო თავისუფლების აღკვეთა რჩება მე-3 მუხლთან შესაბამისად, კერძოდ, უნდა არსებობდეს გათავისუფლების პერსპექტივა და სასჯელის გადახედვის შესაძლებლობა.

111. აქსიომატურია, რომ პატიმარი ვერ იქნება დაპატიმრებული თუკი არ არსებობს მისი პატიმრობის კანონიერი სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძვლები. *Bieber* საქმეში სააპელაციო სასამართლომ და ამ სასამართლოს პალატამ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ხსენებული საფუძვლები მოიცავს დასჯას, პრევენციას, საზოგადოების დაცვასა და რეაბილიტაციას. რიგი ამ საფუძვლებისა არსებობს ხოლმე მაშინ, როდესაც ხდება უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. თუმცა, პატიმრობის ამ გამამართლებელი საფუძვლების ბალანსი არ არის ყოველთვის სტატიკური და შესაძლოა შეიცვალოს სასჯელის

მოხდის განმავლობაში. ის, რაც პატიმრობის დასაწყისში გახლდათ მთავარი არგუმენტი შესაძლოა შეიცვალოს ხანგრძლივი პატიმრობის შედეგად. ამიტომაც, სათანადო დროს განგრძობადი პატიმრობის გადახედვით არის მხოლოდ შესაძლებელი ამ გარემოებებისა თუ ცვლილებების ჯეროვნად შეფასება.

112. მეტიც, თუკი ადგილი აქვს პირის პატიმრობას გათავისუფლების იმედისა და სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, არსებობს საფრთხე, რომ იგი არასდროს მოინანიებს ჩადენილ დაშუღს: რაც არ უნდა გააკეთოს პატიმარმა ციხეში, რაოდენ განსაკუთრებულაც არ უნდა იყოს მისი პროგრესი რეაბილიტაციისაკენ, მისი სასჯელი უცვლელი და გადაუხედავია. ასევე, სასჯელი უფრო და უფრო იზრდება დროსთან ერთად: რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს პატიმარი, მით უფრო გრძელია სასჯელიც. შესაბამისად, მაშინ როდესაც შეფარდებისას უვადო თავისუფლების აღკვეთა არის ძლიერი სასჯელი, დროის დინებასთან ერთად - ლორდ ლოს პერეფრაზი რომ გავაკეთოთ *Wellington* საქმეში - იგი გარდაიქმნება სამართლიანი და პროპორციული სასჯელის უძღურ გარანტიად (იხ. პარაგრაფი 54, ზემოთ).

113. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უვადო თავისუფლების აღკვეთის საქმეში (იხ. პარაგრაფი 69 ზემოთ) მიიჩნია, რომ საბაზისო კანონით განსაზღვრული ადამიანური ღირსების დაცვასთან შეუსაბამო იქნებოდა სახელმწიფოს მიერ პირისათვის თავისუფლების იძულებით აღკვეთა ოდესმე თავისუფლების ხელახლა მოპოვების შანსის გარეშე. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის ადმინისტრაციას ეკისრებოდა ვალდებულება ეზრუნა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრის რეაბილიტაციაზე, ხოლო ხსენებული რეაბილიტაცია კი კონსტიტუციურად იყო მოთხოვნილი ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანის ღირსების ღირებულებას. მართლაც, საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად აღნიშნა შემდგომ *ომის დამნაშავე* საქმეში, რომ ხსენებული პრინციპი ვრცელდებოდა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებზეც, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და რომ მხოლოდ იმ პატიმართა გათავისუფლება, რომლებიც გარდაცვალების პირას იყვნენ, არ იყო საკმარისი (იხ. პარაგრაფი 70, ზემოთ).

იგივე პრინციპები ვრცელდება კონვენციურ სისტემაზეც, რომლის საფუძველიც, როგორც ამას ხშირად აღნიშნავს სასამართლო, გახლავთ ადამიანური ღირსების პატივისცემა (იხ. *inter alia*, *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, § 65, ECHR 2002-III; and *V.C. v. Slovakia*, no. 18968/07, § 105, ECHR 2011 (extracts)).

114. მართლაც, ევროპულ და საერთაშორისო სამართალში არსებობს ნათელი მხარდაჭერა იმ პრინციპისა, რომ ყველა პატიმარს, მათ შორის უვადოდ თავისუფლება აღკვეთილებსაც, უნდა მიეცეთ რეაბილიტაციის შესაძლებლობა და გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.

115. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ მართალია სასჯელი გახლავთ პატიმრობის ერთ-ერთი მიზანი, ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე (იხ. მაგალითად *Dickson v. the United Kingdom* [GC], no. 44362/04, § 75, ECHR 2007-V; და *Boulois v. Luxembourg* [GC], no. 37575/04, § 83, ECHR 2012, არსებული შემდგომი მითითებებით). ევროპის საბჭოს იურიდიულ დოკუმენტებში იგი ყველაზე ნათლად არის ასახული ევროპულ ციხის წესების მე-6 წესში, რომელიც აღნიშნავს, რომ ყოველი პატიმრობა იმგვარად უნდა იყოს მართული, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლება აღკვეთილი პირების რეინტეგრირებას თავისუფალ საზოგადოებაში, ხოლო 102.1 წესის მიხედვით კი მსჯავრდებულ პატიმრებთან საპატიმრო რეჟიმი იმგვარად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ მისცეს მათ საშუალება ჰქონდეთ პასუხისმგებლობით აღსავსე და დანაშაულის გარეშე ცხოვრება (იხ. ზემოთ პარაგრაფი 77).

116. ზემოთ 60-64 პარაგრაფებში მოცემული ევროპის საბჭოს დოკუმენტები ასევე აჩვენებენ, პირველი, რომ რეაბილიტაციის ვალდებულება თანაბრად ვრცელდება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებზეც; და მეორე, მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებსაც უნდა ჰქონდეთ პირობით ვადამდე გათავისუფლების იმედი.

ევროპული ციხის წესების 103-ე წესი აღნიშნავს, რომ მისჯილი პატიმრებისათვის რეჟიმის იმპლემენტაციისას უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასჯელის გეგმები, რომელიც *inter alia* უნდა მოიცავდეს გათავისუფლებისათვის მომზადებას. ამგვარი სასჯელის გეგმები ვრცელდება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებზეც 103.8 წესის საფუძველზე (იხ. პარაგრაფი 77 ზემოთ).

მინისტრთა კომიტეტის 76(2) რეზოლუცია რეკომენდაციას იძლევა, რომ ყველა პატიმრის საქმე - მათ შორის უვადოდ თავისუფლება აღკვეთილისაც - განხილულ უნდა იქნას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე რათა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება მასზედ, თუ რამდენად უნდა შეეხოს მას პირობითი ვადამდელი გათავისუფლება. ხსენებული რეზოლუცია ასევე რეკომენდაციას იძლევა, რომ უვადოდ თავისუფლების აღკვეთის სასჯელი გადახედილ იქნას პატიმრობის რვა-

თოთხმეტი წლის შემდეგ და განხორციელდეს შემდგომი გადახედვა რეგულარული ინტერვალებით (იხ. პარაგრაფი 60 ზემოთ).

რეკომენდაცია 2003(23) (ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადოდ და გრძელვადიანად თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მართვის შესახებ) ხაზს უსვამს, რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრები უნდა სარგებლობდნენ გათავისუფლებისათვის კონსტრუქციული მზადებით, მათ შორის, ამ მიზნით უნდა შეეძლოთ ციხის სისტემაში განვითარება. რეკომენდაცია ასევე აშკარად მიუთითებს, რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრები უნდა სარგებლობდნენ პირობით ვადად გათავისუფლების შესაძლებლობით (იხ. კერძოდ რეკომენდაციის მე-2, მე-8 და 34-ე პარაგრაფები და რეკომენდაციაზე თანდართული ანგარიშის 131-ე პარაგრაფი, ყოველივე განხილული ზემოთ, პარაგრაფში 61, ზემოთ).

2003(22) რეკომენდაცია (პირობითი ვადამდელი გათავისუფლების შესახებ) ასევე ნათლად აღნიშნავს, რომ პირობითი ვადამდელი გათავისუფლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პატიმრისათვის და რომ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებს არ უნდა ჩამოერთვათ გათავისუფლების იმედი (იხ. რეკომენდაციის პარაგრაფი 4(ა) და განმარტებითი მემორანდუმის პარაგრაფი 131, ორივე მოცემული ზემორე პარაგრაფში 62).

წამების პრევენციის კომიტეტმა გამოხატა მსგავსი მოსაზრებანი მის მიერ ბოლოდროს გამოცემულ ანგარიშში შვეიცარიის შესახებ (იხ. პარაგრაფი 64 ზემოთ).

117. მოცემული დამოკიდებულება, მოხდეს უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირთა რეაბილიტირება და მათი შემდგომი გათავისუფლების შანსი ასევე ასახულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა პრაქტიკაში. რაც იკვეთება გერმანიისა და იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოების რეაბილიტაციისა და უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში (იხ. პარაგრაფები 69-71 და 72 ზემოთ) და სხვა შედარებითი სამართლის მასალებში, რომელიც წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე. მათში იკვეთება, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ან საერთოდ არ იყენებს თავისუფლების უვადოდ აღკვეთის სასჯელს, ან, თუკი იყენებს, გვთავაზობს სპეციალურ მექანიზმს, რომელიც ინტეგრირებულია სასჯელის განმსაზღვრელ კანონმდებლობაში და რომელიც ახდენს უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვის გარანტირებას გარკვეული დროის, როგორც წესი ოცდახუთწლიანი პატიმრობის შემდეგ (იხ. ზემოთ პარაგრაფი 68).

118. იგივე დამოკიდებულება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირების რეაბილიტაციისა და მათი შემდგომი გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ არის მოცემული საერთაშორისო სამართალშიც.

გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები მოუწოდებს ციხის ხელისუფლებას გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული რესურსი რათა უზრუნველყოს დამნაშვეთა დაბრუნება საზოგადოებაში (იხ. წესები 58–61, 65 და 66, ციტირებული ზემოთ, პარაგრაფში 78). ამასთანავე, წესებში არაერთგზის არის მითითება რეაბილიტაციაზე (იხ. პარაგრაფი 79 ზემოთ).

ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 10.3 მუხლიც ცალსახად აღნიშნავს, რომ პენიტენციალური სისტემის მთავარი მიზანი უნდა იყოს პატიმართა რეფორმირება და სოციალური რეაბილიტაცია. იგივეა ხაზგასმული ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში მე-10 მუხლზე, რომელიც მიუთითებს, რომ არცერთი პენიტენციალური სისტემა არ უნდა იყოს მხოლოდ სადამსჯელო (იხ. პარაგრაფები 80 და 81 ზემოთ).

დაბოლოს, სასამართლო ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის დებულებებსაც, რომლის ხელშემკვრელიც გახლავთ 121 სახელმწიფო, მათ შორის ევროპის საბჭოს წევრთა უმრავლესობა. სტატუტის 110(3) მუხლის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთა გადახედილ უნდა იქნეს ოცდახუთი წლის პატიმრობის შემდეგ, რასაც უნდა მოყვეს შემდგომი რეგულარული გადახედვები. 110(3) მუხლის მნიშვნელობა კიდევ უფრო ძლიერდება იმ ფაქტით, რომ სტატუტის 110(4) და (5) პარაგრაფები და საერთაშორისო სისხლის სასამართლოს პროცედურისა და მტკიცებულებათა წესების 223-ე და 224-ე წესები დეტალურ პროცედურასა და მნიშვნელოვან გარანტიებს გვთავაზობს გადახედვის შესახებ. სასჯელის შემცირების კრიტერიუმები მოიცავს *inter alia* იმის ანალიზს თუ რამდენად გაემიჯნა პატიმარი მისი ქცევით ჩადენილ დანაშაულს და თუ რამდენად შესაძლებელია მისი რესოციალიზაცია (იხ. წესი 223(ა) და (ბ), მოცემული პარაგრაფში 65 ზემოთ).

3. ზოგადი დასკვნა უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შესახებ

119. განხილული მიზეზების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, მე-3 მუხლის განმარტება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მოიცავდეს სასჯელის შემცირებას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ხელისუფლება განიხილავს თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში თუ რამდენად ჰქონდა პატიმრის ცხოვრებაში ადგილი მნიშვნელოვან

ცვლილებებსა და აღინიშნებოდა თუ არა პროგრესი რეაბილიტაციისაკენ, რის შედეგადაც ადგილობრივი ორგანოები დაასკვნიან, რომ მისი განგრძობადი პატიმრობა აღარ არის გამართლებული კანონიერი სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძველით.

120. თუმცა, სასამართლო ასევე ხაზს უსვამს ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვარს, რომელიც მათ გააჩნიათ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებში (იხ. პარაგრაფები 104 და 105 ზემოთ), და რომ მისი ვალდებულება არ გახლავთ გადახედვის ფორმის (აღმასრულებელი თუ მართლმსაჯულებითი) დადგენა. იგივე მიზეზით, სასამართლო არც გადახედვის დროს განსაზღვრავს. ამის გათვალისწინებით, სასამართლო აქვე უსვამს ხაზს, რომ მის წინაშე წარმოდგენილი შედარებითი და საერთაშორისო სამართლის მასალების მიხედვით, იკვეთება გადახედვის შესაბამისი მექანიზმის მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებიდან არაუგვიანეს ოცდახუთი წლის შემდეგ გადახედვის დადგენა, შემდგომი პერიოდული გადახედვით (იხ. პარაგრაფები 117 და 118 ზემოთ).

121. მოცემული დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამგვარი გადახედვის შესაძლებლობას, უვადო თავისუფლების აღკვეთა ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.

122. მართალია ხსენებული გადახედვა წარმოადგენს უდავოდ სასჯელის გამოტანის შემდგომ მოვლენას, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმარს მაინც არ უნდა ევალებოდეს განუსაზღვრელად ელოდოს და იხადოს სასჯელი მანამდე სანამ წამოაყენებს საჩივარს მასზედ, რომ მის სასჯელთან დაკავშირებული სამართლებრივი პირობები არ აკმაყოფილებს ამ მხრივ მე-3 მუხლს. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივ სიცხადეს, ისე ზოგად პრინციპებს მსხვერპლის სტატუსის შესახებ კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით. ამასთანავე, იმ შემთხვევებში, როდესაც სასჯელი მისი შეფარდებისას, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით არ ექვემდებარება შემცირებას, არაგონივრული იქნება ველოდოთ, რომ პატიმარი იზრუნებს რეაბილიტაციაზე იმის ცოდნის გარეშე რომ ოდესმე, კონკრეტული თარიღის ცოდნის გარეშე, შესაძლებელია შემოღებულ იქნას მექანიზმი, რომელიც მისცემს მას საშუალებას, სწორედ ხსენებული რეაბილიტაციის საფუძველზე, განხილულ იქნას მისი გათავისუფლების საკითხი. უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირს აქვს უფლება იცოდეს, მისი სასჯელის დასაბამიდანვე, თუ რა უნდა გააკეთოს და რა პირობებით მან იმისათვის, რომ

განხილულ იქნას მისი გათავისუფლების საკითხი მათ შორის, როდის არის შესაძლებელი მისი სასჯელის გადახედვა ან ხსენებული გადახედვის მოთხოვნა. შესაბამისად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ აწესებს მექანიზმსა თუ საშუალებას მოხდეს უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვა, შეუსაბამობა მე-3 მუხლთან ამ საფუძველზე წარმოიშვება უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას და არა პატიმრობის მოგვიანებით ეტაპზე.

4. მოცემული საქმე

123. განსახილველია, არსებული მიგნებების გათვალისწინებით, თუ რამდენად შესაბამისობაშია მოცემულ საქმეში არსებული უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელები კონვენციის მე-3 მუხლთან.

124. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ პალატამ გადაწყვეტილებაში (პარაგრაფი 94) აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, თუ რატომ არ მოხდა 2003 წლის აქტში (იხ. პარაგრაფი 95 ზემოთ) ინგლისსა და უელსში ოცდახუთი წლის შემდეგ სასჯელის გადახედვის ინკორპორირება, არ არის დამაჯერებელი (იხ. პარაგრაფი 95 ზემოთ). სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ამგვარი გადახედვა, მიუხედავად იმისა, რომ განეკუთვნებოდა აღმასრულებელ შტოს, არსებობდა წინარე მოქმედ კანონმდებლობაში (იხ. პარაგრაფი 46 ზემოთ).

მთავრობამ აღნიშნა, რომ ოცდახუთი წლის შემდეგ გადახედვა არ იყო გათვალისწინებული 2003 წლის აქტში იმის გამო, რომ აქტის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ იმ გადაწყვეტილებების სასამართლოსათვის გადანდობა, რომელიც არეგულირებდა დასჯისა და პრევენციის მიზნით პატიმრობის ვადების განსაზღვრას (იხ. პარაგრაფი 95 ზემოთ). თუმცა, იმის საჭიროება, რომ დამოუკიდებელმა მოსამართლეებმა განსაზღვრონ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, განსხვავდება მოცემული თავისუფლების აღკვეთის მოგვიანებით გადახედვის საჭიროებისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ლეგიტიმურობა სისხლისსამართლებრივ-ლოგიკურ საფუძველზე. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით რომ, ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა აღმასრულებელი ორგანოს სრულიად ჩამოშორებას უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისაგან, უფრო თანმიმდევრული იქნებოდა ოცდახუთი წლის შემდეგ გადახედვის სრულიად ამოღების ნაცვლად, მისი გადაცემა მართლმსაჯულების სისტემისათვის და არა აღმასრულებლისათვის, სასამართლოს კონტროლით, როგორც ეს აქამდე იყო.

125. მეტიც, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების გათავისუფლების პერსპექტივების შესახებ მოქმედი კანონი არასაკმარისად ნათელია. მართალია, რომ 1997 წლის აქტის 30-ე მუხლით სახელმწიფო მდივანს ენიჭება უფლებამოსილება გაათავისუფლოს ნებისმიერი პატიმარი, მათ შორის უვადოდ თავისუფლება აღკვეთილიც (იხ. პარაგრაფი 42 ზემოთ). ისიც მართალია, რომ უფლებამოსილების განხორციელებისას - მსგავსად ყველა კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებისა - სახელმწიფო მდივანი ვალდებულია იმოქმედოს კონვენციის შესაბამისად (იხ. ადამიანის უფლებათა აქტის 6(1) მუხლი, მოცემული ზემოთ პარაგრაფში 33). მთავრობამ, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ არგუმენტებში აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო 30-ე მუხლის იმგვარად წაკითხვა, რომ იგი არა მხოლოდ ანიჭებდეს გათავისუფლების უფლებას სახელმწიფო მდივანს, არამედ აკისრებდეს კიდევაც მას მოცემული ქმედების განხორციელების ვალდებულებას და ავალდებულებდეს იმ პატიმრის გათავისუფლებას, რომელთან მიმართებაშიც დადასტურდებოდა, რომ მისი განგრძობადი პატიმრობა შეუსაბამო შეიქნა მე-3 მუხლთან, მაგალითად, როდესაც პატიმრობა აღარ იქნებოდა გამართლებული კანონიერ სისხლისსამართლებრივ-ლოგიკურ საფუძვლებზე.

პრინციპში, სწორედ ამგვარად იქნა გაგებული 30-ე მუხლი სააპელაციო სასამართლოს მიერ *Bieber* საქმეში, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა *Oakes* საქმეში (იხ. განსაკუთრებით ზემოთ პარაგრაფი 49, რომელიც აყალიბებს *Bieber* საქმის 48 და 49 პარაგრაფებსა და სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს მასზედ, რომ მართალია 30-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილება იშვიათად გამოიყენება, არ არსებობს მიზეზი თუ რატომ არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება სახელმწიფო მდივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლთან სავალდებულო შესაბამისობის უზრუნველსაყოფად).

30-ე მუხლის ამგვარი წაკითხვა უზრუნველყოფს გარკვეული შესაძლებლობების არსებობას კანონმდებლობის საფუძველზე მოხდეს იმ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების გათავისუფლება, რაც, პრინციპში, შესაბამისობაშია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ზემოთციტირებულ *Kafkaris* საქმეში. თუკი დადგინდება, რომ მომჩივნების შემთხვევებში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა საკმარისად ცხადად არეგულირებდა მოცემულ საკითხს, მაშინ რთულია დავასკვნათ, რომ სასჯელები შეუმცირებელი იყო და შესაბამისად, არც მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდება.

126. სასამართლო წუხს ამაჟამად მოქმედი კანონით გამოქვეყნებული პოლიტიკისა და მართლმსაჯულებით პოზიციის შესახებ, ისევე როგორც პრაქტიკაში უვადოდ

თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მიმართ მისი გამოყენების გამო. ფაქტია, რომ მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა *Bieber* საქმეში, სახელმწიფო მდივანმა არ შეცვალა მის მიერ აშკრად გაცხადებული და შეზღუდული პოლიტიკის პირობები მასზედ თუ როდის იმოქმედებს 30-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტებისა 30-ე მუხლთან დაკავშირებით, ძალაში რჩება პატიმრობის მოხდის ბრძანება, რომელიც აღნიშნავს, რომ გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ, ამომწურავად ჩამოთვლილ და არა მხოლოდ საილუსტრაციო, გარემოებებში, კერძოდ, თუკი პატიმარი არის სასიკვდილოდ ავად ან ფიზიკურად შეზღუდვა შრომისუნარიანობა და დაკმაყოფილებულია სხვა დამატებით კრიტერიუმები (კერძოდ, ხელახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მინიმალური შესაძლებლობა, პირის განგრძობადი პატიმრობა შეამცირებს მის სიცოცხლისუნარიანობას, ციხის მიღმა არსებობს პატიმრის მოვლისა და მასზე ზრუნვის ადექვატური პირობები, და მისი ნაადრევად გათავისუფლება პატიმარს ან მის ოჯახს მოუტანს სარგებელს).

127. ჩამოთვლილი პირობები უკიდურესად შეზღუდული ხასიათისაა. იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ ხსენებული პირობები შესაძლოა დაკმაყოფილებულ იქნას უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრის მიერ, სასამართლო მიიჩნევს, რომ პალატამ მართებულად შეიტანა ეჭვი მასზედ, თუ რამდენად წარმოდგენდა სასიკვდილოდ დაავადებული თუ ფიზიკურ შესაძლებლობა შეზღუდული პატიმრის თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლება ჯეროვან გათავისუფლებას, თუკი ეს უკანასკნელი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პატიმარი გარდაიცვლება შინ ან საავადმყოფოში და არა ციხეში. მართლაც, სასამართლოს აზრით, ამგვარი თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლება არ არის მოსაზრებული "გათავისუფლების შესაძლებლობაში", როგორც ეს აღინიშნა ზემოთცხიტირებულ *Kafkaris* საქმეში. როგორც ასეთი, ბრძანების პირობები, თავისთავად არ შეესაბამება *Kafkaris* საქმეს და შესაბამისად არ არის საკმარისი მე-3 მუხლის მიზნებისათვის.

128. მეტიც, საპატიმრო სასჯელის ბრძანება ეხება როგორც პატიმრებს, ისე ციხის ადმინისტრაციასაც. თუმცა, იგი არ მოიცავს *Bieber* საქმეში არსებულ და მთავრობის მიერ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ განმარტებებს ადამიანის უფლებათა აქტისა და კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო მდივნის მიერ 1997 წლის აქტის 30-ე მუხლით გათავისუფლების უფლების განხორციელების შესახებ. კერძოდ, ბრძანება არ ასახავს შესაძლებლობას - რომელიც წარმოიშვა

ადამიანის უფლებათა აქტის საფუძველზე - რომ ლეგიტიმურ სისხლისსამართლებრივ-ლოგიკურ საფუძვლებზე უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებსაც კი გააჩნიათ გათავისუფლების მოთხოვნის უფლება სასჯელის მოხდის გარკვეულ ეტაპზე. ამ მხრივ, მთავრობის მიერვე წარმოდგენილი არგუმენტების მიხედვით გამოყენებადი ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, საპატიმრო სასჯელის ბრძანება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებს აჩვენებს - რომელთაც პირდაპირ ეხება იგი - მხოლოდ ნაწილობრივ სურათს თუ რომელი გამონაკლისი პირობების შემთხვევაში მოხდება სახელმწიფო მდივნის მიერ 30-ე სექციით მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენება.

129. შედეგად, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მიმართ გამოყენებადი ეროვნული კანონმდებლობის სიცხადის ნაკლებობის გათვალისწინებით სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს მასზედ, რომ 1997 წლის აქტი მომჩივნებს სთავაზობს სათანადო და ადეკვატურ მისაგებელს იმ შემთხვევაში თუკი ისინი ოდესმე მოისურვებენ იმის დამტკიცებას, რომ მათი განგრძობადი პატიმრობა აღარ არის გამართლებული ლეგიტიმური სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძვლებით და შესაბამისად ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. დღეისათვის ბუნდოვანია უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრის მიერ 30-ე მუხლით გათავისუფლების მოთხოვნის განხილვისას რამდენად გამოიყენებს სახელმწიფო მდივანი მის არსებულ, შეზღუდულ პოლიტიკას, რომელიც მოცემულია საპატიმრო სასჯელის ბრძანებაში თუ გასცდება ბრძანების, როგორც იკვეთება, ამომწურავ პირობებს და გამოიყენებს *Bieber* საქმეში დაწესებულ მე-3 მუხლის ტესტს. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გათავისუფლებაზე ნებისმიერი უარი დაექვემდებარება სასამართლოს მიერ გადახედვას და შესაძლოა, რომ სწორედ მის წინაშე სამართალწარმოებისას მოხდეს სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბება, მაგალითად სახელმწიფო მდივნის მიერ საპატიმრო სასჯელის ბრძანების უკან გამოხმობითა და შეცვლით ან მისი გაუქმებით სასამართლოების მიერ. თუმცა, მსგავსი ალბათობა არ არის საკმარისი გამოასწოროს ის ბუნდოვანება, რომელიც არსებობს ამჯერად მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაში უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების შესაძლო გამონაკლის შემთხვევაში გათავისუფლების საკითხზე.

130. შესაბამისად, 30-ე მუხლის ფართო განმარტებასა (მოცემული სააპელაციო სასამართლოს მიერ კონვენციის შესაბამისად, რადგან ადამიანის უფლებათა აქტის მიხედვით სავალდებულოა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის

შესაბამისობა კონვენციასთან) და საპატიმრო სასჯელის ბრძანებაში მოცემულ ამომწურავ პირობებს შორის არსებული განსხვავების გამო, და უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვის მექანიზმის არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ დროის ამ პერიოდში მომჩივნების უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი შესაძლოა მიჩნეულ იქნას შემცირებად სასჯელად კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ მე-3 მუხლის მოთხოვნები ამ კუთხით არ არის დაკმაყოფილებული არც ერთ მომჩივანთან მიმართებაში.

131. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სამართალწარმოების ფარგლებში, მომჩივნები არ დავობდნენ, რომ მათ ინდივიდუალურ შემთხვევებში აღარ არსებობს ლეგიტიმური სისხლისსამართლებრივ-ლოგიკური საფუძვლები მათი განგრძობითი პატიმრობისათვის. მომჩივნები ასევე იზიარებენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასჯისა და პრევენციის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად იქნებოდა მიჩნეული, ისინი შესაძლოა მაინც დარჩენილიყვნენ პატიმრობაში ხიფათის მომცველობის გამო. შესაბამისად, მოცემულ საქმეში დარღვევის დადგენა არ უნდა იქნეს განხილული მათი დაუყოვნებელი გათავისუფლების საფუძვლად.

II. კონვენციის 5 § 4 მუხლის საგარაუდო დარღვევა

132. დიდი პალატის წინაშე წარმოდგენილ არგუმენტებში მომჩივნები აღნიშნავდნენ, რომ ეროვნული კანონმდებლობით სასჯელის გადახედვის მექანიზმის არარსებობა არღვევდა კონვენციის 5 § 4 მუხლს, რომელიც აღნიშნავს, რომ:

"ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრების აღკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა"

თუმცა, აღნიშნული საჩივარი მიუღებლად იქნა ცნობილი პალატის მიერ, რომელიც განსაზღვრავს დიდი პალატის იურისდიქციას (იხ. *inter alia*, *Gillberg v. Sweden* [GC], no. 41723/06, § 53, 3 აპრილი 2012, და *Kafkaris*, ციტირებული ზემოთ, § 124, იქვე არსებული შემდგომი მითითებებით). შესაბამისად, მოცემული საჩივარი სცილდება დიდი პალატის წინაშე წარმოდგენილი საქმის მასშტაბებს.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

133. კონვენციის 41-ე მუხლი აღნიშნავს შემდეგს:

"თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს".

134. სამართლიანი დაკმაყოფილება მოითხოვდა მხოლოდ პირველმა მომჩივანმა.

ა. ზიანი

135. ექსპერტის ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადებული იქნა იმ გასაჭირის აღსაწესხად რაც განვლო მომჩივანმა სასჯელის მოხდის განმავლობაში, პირველი მომჩივანი ითხოვდა 1,500 გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 1,844 ევროს) მორალური ზიანისათვის.

136. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის დარღვევა თავისთავად წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას და შესაბამისად არ მიაკუთვნებს მას კომპენსაციას.

ბ. ხარჯები

137. პირველი მომჩივანი ითხოვდა მისი ადვოკატის 120 საათიანი შრომისა და მრჩეველის 133 საათიანი შრომის ანაზღაურებას, მთლიანობაში 76,646 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, დღგ ჩათვლით (დაახლოებით 88,957 ევრო).

138. სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს აუნაზღაურდეს ის ხარჯები, რომელიც გაწეულ იქნა აუცილებელი საჭიროებისა და გონივრული ოდენობის ფარგლებში. მოცემულ საქმეში, სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტებისა და ზემორე ხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ გონივრული იქნება პირველ მომჩივანს აუნაზღაურდეს 40,000 ევრო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისათვის.

გ. საურავი

139. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას ყოველ მომჩივანთან მიმართებაში;
2. ადგენს, ერთხმად, რომ საჩივარი კონვენციის 5 § 4 მუხლით ხვდება სასამართლოს მიერ განსახილველ ზღვარს მიღმა;
3. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ დარღვევის დადგენა თავისთავად წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი მორალური ზიანისათვის, რომელიც მიაღდა პირველ მომჩივანს;
4. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ,
 - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ პირველ მომჩივანს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 40,000 (ორმოცი ათასი) ევრო, კონვერტირებული გირვანქა სტერლინგებში გადახდის დღეს არსებული კურსით ხარჯების ასანაზღაურებლად, დამატებული ნებისმიერი გადასახადი რომელიც შესაძლოა დაეკისროს მოცემულ თანხას;
 - (ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადახდამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, დამატებული სამი პროცენტი.
5. უარყოფს, ერთხმად, პირველი მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 2013 წლის 9 ივლისს სასამართლო რეგლამენტის 77 § 2 და 3 მუხლების მიხედვით.

მაიკლ ო'ბოილი
სასამართლო გამწესრიგებლის მოადგილე

დინ სპილმანი
პრეზიდენტი

კონვენციის 45 § 2 მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 74 § 2 მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი ცალკეული მოსაზრებანი:

- (ა) მოსამართლე ზიმელეს თანმხვედრი მოსაზრება;
- (ბ) მოსამართლე პაუერ-ფორდის თანმხვედრი მოსაზრება;
- (გ) მოსამართლე მაჰოუნის თანმხვედრი მოსაზრება;
- (დ) მოსამართლე ვილიგერის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;

დ.ს.
მ.ო'ბ

მოცემულ თარგმანს არ ერთვის განსხვავებული მოსაზრებანი, თუმცა იგი თან ახლავს ოფიციალურ, ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე წარმოდგენილ გადაწყვეტილებას და ხელმისაწვდომია სასამართლოს პრაქტიკის მონაცემთა ბაზაში - HUDOC.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი გაკეთდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე არაა და სასამართლო მის ხარისხზე პასუხს არ აგებს. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>), ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელსაც სასამართლომ წინამდებარე თარგმანი გადასცა. თარგმანის გამოყენება არაკომერციული მიზნებისთვის ნებადართულია იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული დასახელების ციტირება, ზემოთ მოცემული საავტორო უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის შესახებ შენიშვნის მითითებით. წინამდებარე თარგმანის, ან მისი ნაწილის, კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.